

პარლო ბარბაქაძე

კავკასიური ენების სორუმი

თბილისი 2007

ვუპოვნი აფხაზურ-აართულ და ოსურ-აართულ ეთნოკონფლიქტებში დაღუპულთა ნათელ ხსენებას, რომელთა სანუკვარი ოცნება იმ ქვეყანაში, უსათუოდ აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება იქნება და თუ ეს პატარა წიგნი ამ საკითხში თავის მოკრძა-ლეულ წვლილს შეიტანს, მე ნაწილობრივ ვაღმობდილად ჩავთვლი თავს მათ წინაშე.

კარლო ბარბაქაძე

შინაარსი

წინათქმა	4
1. ენის ელემენტური აგებულება	6
§1.1 ცნობები ენის ელემენტური აგებულების შესახებ	6
§1.2 ენის ელემენტური თეორიის არსებითი ნაწილი	8
§1.3 რთული სიტყვის ფორმირება	11
2. ქვეყნებისა და მათი შესაბამისი ხალხების ეთნიკური სახელების ფორმირება	19
3. აფხაზებთან დაკავშირებული პრობლემატიკური საკითხები	22
§3.1 აფხაზურ-ქართული ლექსიკური შესწავლა	22
§3.2 აფხაზეთის რეგიონალური სახელების წარმოშობა	35
§3.3 თანამედროვე აფხაზების ეთნიკური წარმოშობის შესახებ	43
4. ოსებთან დაკავშირებული პრობლემატიკური საკითხები	56
§4.1 ოსურ-ქართული ლექსიკური შესწავლა	56
§4.2 ოსეთის რეგიონალური და ოსების ეთნიკური სახელების წარმოშობა	66
გამოყენებული ლიტერატურა	73
ბოლოთქმა	75

აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-დლიდგ-ლეკ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ.

ივანე ჯავახიშვილი.

(X ტომი. დასკვნები. გვ.622)

წინათქმა

თოთხმეტ წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ოსურ-ქართული და აფხაზურ-ქართული შეიარაღებული ეთნოკონფლიქტების შედეგად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებიდან დევნილი ასეული ათასობით მკვიდრი მოსახლეობა ლტოლვილის სტატუსით იმყოფება სხვადასხვა ქვეყნებში და მოუთმენლად ელის თავთავიანთ მშობლიურ კერაზე დაბრუნებას. ეს დაუსრულებელი ღოდინი, რომელიც მხოლოდ სიზმარშია ხორცშესხმული და ისიც მეორეხარისხოვანი მოქალაქის როლში, ბევრმა დევნილმა სამარეში თან ჩაიტანა და ძნელი სათქმელია თუ რას განიცდიან ახლა ისინი იქ. ასეთი მოლოდინის განცდა უცხო ხილია აღნიშნული კონფლიქტების გამჩადებლებისა და უსიტყვო შემსრულებლებისათვის იმიტომ, რომ მათი მსოფლმხედველობა, ძირითადად, მომხვეჭელობით შემოიფარგლება. დღეს მათთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია მოხვეჭილის უარყოფა, რის გამო აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ყოველ მცდელობას ისინი ბლოკირებას უკეთებენ. უწინ, ძველ დროში, ძალას ძალა უპირისპირდებოდა და მოძალადეს ამის შიში ჰქონდა. დღეს, ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ სამყაროში, მოძალადეს დემოკრატიული პრინციპები იცავს შურისძიებისაგან და იმიტომ მას არაფრის აღარ ეშინია. ამის აშკარა გამოვლენაა აფხაზი და ოსი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების მიერ საერთაშორისო სოლიდური დემოკრატიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა იგნორირება.

არსებული ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების დღემდე გამოყენებული მეთოდები საკმარისი არ აღმოჩნდა მათ დასარეგულირებლად, იმიტომ საჭიროა დამატებითი, უფრო ქმედითი, ზომების მიღება. ერთ-ერთ ასეთ ქმედით ზომად ჩვენ დაპირისპირებულ მხარეთა ფართო საზოგადოების კონფლიქტის მოგვარებაში ჩართვა

გვესახება. ამის მოთხოვნილება იმ შემთხვევაში გაუნდება მათ, თუ ისინი თავიანთი და მოწინააღმდეგე მხარის ხალხების ისტორიულ და გენეტიკურ კავშირებში დარწმუნდებიან. მშრომელი მოსახლეობა ომს არასოდეს არ იწყებს, ომში მათ ყოველთვის უსაქმური მომხვეჭელები ითრევენ, რომლებიც, ხშირად, ამა თუ იმ აგრესიული ქვეყნის ან აგრესიული რელიგიური სექტის ინტერესებს ემსახურებიან. პატიოსანი მშრომელი მოსახლეობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის გამართულ კონსტრუქციულ დიალოგს ყველთვის მიესალმება.

წინამდებარე ნაშრომის შექმნის ძირითად მიზანს აფხაზებისა და ოსების ქართველებთან ნათესაობის დამადასტურებელი მასალების მოძიება წარმოადგენს, რის შესახებ ისტორიული, ეთნოგრაფიული და უბრალო ყოფიერებითი ცნობები მიგვანიშნებენ. ამ მხრივ საინტერესო გამოდგა აფხაზური და ოსური ენების შესაბამისი არსებითი სახელების, ეთნიკური სახელების და რეგიონალური სახელების ლინგვისტიკური კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით აღნიშნული სახელების დიდი ნაწილი ქართული ლექსიკიდან მომდინარეობს. ეს შედეგები გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვე აფხაზური და ოსური ენები ან ქართული ენის არქაულ განშტოებებს წარმოადგენენ, ან საშივე მათგანი ერთი საერთოკავკასიური ენის დიალექტებია. ორივე შემთხვევაში აფხაზები, ოსები და ქართველები, არც თუ ისე შორეულ წარსულში, ერთი ეთნოსის ხალხი იქნებოდა, ერთი საერთო ენითა და ქვეყნით. ეს ქვეყანა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი, ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობის პერიოდში (XVIII საუკუნეში) კი მას საქართველო ეწოდებოდა.

ამ წიგნში წარმოდგენილ მასალას აუცილებლად უნდა გაეცნოს როგორც აფხაზი, ოსი და ქართველი, ასევე რუსი, ჩრდილოეთკავკასიელი და სხვა რეგიონების მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებსაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები ჭეშმარიტად აინტერესებთ.

დასასრულს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაკურსელს, კოლეგასა და მეგობარს, თსუ სოხუმის ფილიალის საუნივერსიტეტო კომპიუტერული ცენტრის უფროსს, თენგიზ წულაიას, რომლის უანგარო ინტელექტუალური და ტექნიკური დახმარების გარეშე გამიჭირდებოდა ამ პატარა წიგნის შექმნა და გამოცემა.

კარლო ბარბაქაძე
20. 05. 2005 წ.

1. ენის ელემენტური აგებულება

§1.1 ცნობები ენის ელემენტური აგებულების შესახებ

სამეტყველო ენა თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, გერმანელი ენათმეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის აზრით, “. . . состоял из одних “корней”, т.е. слова не имели ни префиксов, ни суфиксов, ни окончаний. Этот язык был богат словами, был способен описать любую конкретную ситуацию. Однако со временем отдельные слова присоединяются к наиболее существенным “корням”, теряя свое самостоятельное “вещественное” значение. Такие слова стали выполнять роль вспомогательных словообразовательных (префиксы и суффиксы) или словоизменительных (окончания) показателей.” [1, გვ.18-19].

სამეტყველო ენა, ნიკო მარის აზრით, “. . . не начался с отдельных слагавшихся в слова звуков. Он начался с цельных слов, представлявших собой каждое один целый диффузный звук.” [2, გვ.21].

ჰუმბოლდტის "სიტყვის ძირებს" და მარის "მთელ დიფუზიურ ხმებს" ჩვენ დღეს **ენობრივი ელემენტებს** ეუწოდებთ და ამით ენის *ელემენტურ აგებულებას* ვაღიარებთ.

ენის ელემენტური აგებულება ნიკო მარის შემოქმედების მთავარ ორიენტორს წარმოადგენდა, ამიტომ მას მთელი თავისი მეცნიერული ძალისხმევა ენობრივი ელემენტების მოძიებაზე ჰქონდა მიმართული. მარმა მოიძია ოთხი ელემენტი **საღ, ბჲრ, იონ, რღჷ** და განაცხადა: “ყველა ენის ყველა სიტყვა, რამდენადაც ისინი არიან ერთი შემოქმედებითი პროცესის პროდუქტი, შედგება ოთხი ელემენტისგან, – ყოველი სიტყვა ერთი ან ორი, იშვიათად სამი ელემენტისგან; რაგინდარა ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არ მოიპოება სიტყვა, რომელიც შეიცავდეს რაიმე ისევ და ისევ იმ ოთხი ელემენტის გარეშე” [3, გვ.280].

ნიკო მარის ეს აქსიომალური კონცეფცია *ოთხელემენტოვანი ანალიზის* სახელით არის ცნობილი. მარმა იგი თავს მოახვია საბჭოთა ენათმეცნიერებს, რისთვისაც მარი იოსებ სტალინმა სამართლიანად გააკრიტიკა იმიტომ, რომ მარმა თავისი ელემენტების მეშვეობით ვერცერთი სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ვერ დაადგინა. ამის მიზეზია ის, რომ მარის ელემენტები არ არიან ჭეშმარიტი ენობრივი ელემენტები და ამიტომ ვერ ასრულებენ მათ ფუნქციებს. მარმა თავის ელემენტებად ეთნიკური სახელები შეარჩია რაც დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ პირველყოფილი ადამიანების სამეტყველო ენაში, როდესაც ეთნოსები ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულყვნენ, ეთნიკური სახელების ბაზაზე სიტყვების წარმოქმნა შეუძლებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა მარის მიერ ენიბრივი

ელემენტების შემოღება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ენათმეცნიერებაში იმ თვალსაზრისით, რომ მან ყველა ენას ერთიადიგივე დასაბამი მიუჩინა და ამით ისინი ერთმანეთთან დააკავშირა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მარი გაანალიზებული სიტყვების მნიშვნელობებს ხშირად მხეს უკავშირებს [4, გვ.280; 5, გვ.8], რითაც იგი თავის ელემენტებს, ფაქტიურად, მზის სხვადასხვა სახელის სახით წარმოგვიდგენს. ამ ფაქტისა და მარის აქსიომალური კონცეფციის გათვალისწინებით ყველა სამეტყველო ენა “მზის ენა” უნდა იყოს, მზის რომელიღაც სახელის ბაზაზე უნდა იყოს წარმოქმნილი, რასაც *ერთელემენტოვანი ანალიზამდე* მივყავართ. *ერთელემენტოვანი ანალიზი* არის, ფაქტიურად, ნიკო მარის შემდეგ გამონათქვამში აღიარებული: “. . . современная палеонтология языка нам дает возможность дойти в его исследовании до эпохи, когда в распоряжении племени было только одно слово для применения во всех значениях, какие тогда осознавало человечество” [6, გვ.217].

ნიკო მარი, რა თქმა უნდა, ხელავდა თავისი ელემენტების უსუსურობას მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა, ან უნდა დაეცვა თავისი ელემენტები მანამ, სანამ ახალს, უფრო სრულყოფილ ელემენტებს არ მოიძიებდა, ანდა უარი ეთქვა სიტყვის ელემენტური აგებულების პრინციპზე, რაც მიუტკვებელი შეცდომა იქნებოდა. მარის აზრით სიტყვის ელემენტური აგებულების პრობლემას გადაჭრის ის, “. . . кто найдет путь, теоретические искания и сродные материалы связать неразрывными узами.” [4, გვ.57].

საინტერესოა აგრეთვე თურქი ენათმეცნიერების *ერთელემენტოვანი ანალიზი* [7, გვ.240-255]. ეს ელემენტია “აღ”, რომელიც სინათლეს ნიშნავს თურქულად, სინათლე კი მზისგან მომდინარეობს, ამიტომ მის შესაბამის ენას თურქმა ავტორებმა “გიუნეშ-დილ” (მზის ენა) უწოდეს და განაცხადეს: “ენის მთავარი სემანტიკური საფუძველი, ჩვენი თეორიის თანახმად, არის მზე, – პირველი ობიექტი, რომელიც შენიშნა პირველყოფილმა ადამიანმა. მზის თვისებები, მისი მოძრაობანი, თავდაპირველად კონკრეტული, შემდეგ გარდაიქმნა განყენებულ მცნებად – ფსიქიკური, სოციალური და ინტელექტუალური რიგისა” [7, გვ.246].

თურქი ენათმეცნიერების *ერთელემენტოვანი ანალიზი*-ც წინგადადგმული ნაბიჯი იყო ენათმეცნიერებაში იმ თვალსაზრისით, რომ მასში ყველა სამეტყველო ენის წარმოქმნა ერთ ელემენტთან არის დაკავშირებული, რომელიც მზის უძველეს სახელად იქნა მიჩნეული. მისმა ავტორებმა უსათუოდ ღრმად გაანალიზეს მარის შემოქმედება, ჭეშმარიტად ირწმუნეს ენის ელემენტოვანი აგებულება, კრიტიკულად შეაფასეს მარის ელემენტების ფორმალური და მატერიალური საფუძვლები, კარგად გაათვითცნობიერეს პირველყოფილი ადამიანების ყოფიერება მკაცრ გარემომცველ ბუნებრივ პირობებში და მათ საფუძველზე მზე შეარჩიეს იმ ობიექტად, რომელიც შეიძლება ყოფილიყო

პირველყოფილი ადამიანების უპირველესი ტოტემა, მზის სახელი კი – ადამიანების მიერ შექმნილი პირველი სიტყვა. მათი მიდგომა დასმული საკითხისადმი ლოგიკურია. რაც შეეხება **აღ** ბგერათომპლექსის პირველ ენობრივ ელემენტად გამოცხადებას ეს, რა თქმა უნდა, არარეალურია თუნდაც იმიტომ, რომ **ღ** ბგერა საკმაოდ ძლიერი და მკაფიოდ გამოხატულია, რომლის ბაზაზე დანარჩენი ბგერების შექმნა წარმოუდგენელია.

§1.2 ენის ელემენტური თეორიის არსებითი ნაწილი

ჩვენნი დაინტერესება სამეტყველო ენის წარმოქმნის პრობლემით ერთმა არაორდინალულობა მოსაზრებამ განაპირობა – *სიტყვის სტრუქტურა და წარმოქმნის მექანიზმი ჩვენ ქიმიური ნივთიერების სტრუქტურასა და წარმოქმნის მექანიზმს მივამსგავსეთ* [8, გვ. 13-14].

ქიმიაში მარტივი ნივთიერება ქიმიური ელემენტია, რთული ნივთიერება კი – ქიმიური ელემენტების შენაერთი. რთული ნივთიერება ერთ რომელიმე მთავარ ქიმიურ ელემენტს და ერთს ან უფრო მეტ აქტიურ ქიმიურ ელემენტს (მაგალითად: ჟანგბადს, წყალბადს, გოგირდს და სხვა) შეიცავს.

მარტივი სიტყვა, ქიმიური ელემენტის მსგავსად, ერთ ენობრივ ელემენტს შეიცავს, რთული სიტყვა კი – ორს და უფრო მეტს. რთულ სიტყვაში ერთი ენობრივი ელემენტი მთავარია, რომელიც სიტყვის ფუძეს წარმოადგენს, დანარჩენები კი აქტიური ენობრივი ელემენტებია – აფიქსებია. მარტივი სიტყვის არსებით მნიშვნელობას მისი შესაბამისი ენობრივი ელემენტი განსაზღვრავს, რთული სიტყვის არსებით მნიშვნელობას კი – მისი ფუძეელემენტი, რომელიც იმ მატერიალური ობიექტის ან სუბიექტის სახელი უნდა იყოს, რომელსაც რთული სიტყვა ასახავს. რთული სიტყვის შემადგენელი დანარჩენი ენობრივი ელემენტები ანუ აფიქსები აღნიშნული ობიექტის ან სუბიექტის კათეგორიები იქნება.

როგორც ნივთიერებათა ანალიზით გახდა ქიმიური ელემენტების მოპოვება შესაძლებელი, ასევე სიტყვების დეაფიქსაციით უნდა მოხდეს ენობრივი ელემენტების მოძიებაც, რაც ზოგადი (ყველა ენის მომცველი) აფიქსების გამოყენებით შეიძლება იქნას მიღწეული. ასეთი აფიქსები არ არის ცნობილი და მათი მოძიება რთული პრობლემა იმიტომ, რომ სხვადასხვა ენას სხვადასხვა აფიქსები გააჩნია, ან ერთი და იგივე ფონეტიკური სტრუქტურის მქონე აფიქსი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მნიშვნელობისაა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცადეთ ზოგადი აფიქსების შერჩევას სიტყვის ქიმიურ ნივთიერებასთან მიმსგავსების პრინციპით.

ქიმიკოსები იცნობენ აქტიურ ელემენტებს, რომელთა რაოდენობა შეზღუდულია და უცნობი ნივთიერების ანალიზის დროს, კერძოდ

მისი შემადგენელი უცნობი ელემენტის მოძიებისას, ადვილად გამოყოფენ მათ საცდელი პრეპარატისგან სათანადო რეაქტივების გამოყენებით. ანალოგიური მოქმედება ენაშიც შეიძლება იქნას განხორციელებული. თუ ავიღებთ სახელებს ენციკლოპედიიდან და ფონეტიკურად გავაანალიზებთ ენახავთ, რომ მათ შემადგენლობაში ხშირად ერთი და იგივე **ს, შ, ზ, რ, ლ, ნ, მ, ღ** თანხმოვანი ბგერების **ა** და **ო** ხმოვან ბგერებთან შედგენილი კომპლექსები ფიგურირებენ. ეს კომპლექსები აფიქსებად გამოიყენება სხვადასხვა ენებში (მაგალითად, **ს** ბგერის შემთხვევაში ქართული ენისთვის დამახასიათებელი **სა-, სო-, -ისა, -ის, -ს, -სო, -სოა** აფიქსები), ამიტომ ჩვენ ისინი ზოგად აფიქსებად მივიჩნით და სიტყვების ძირების მოძიება მათი ჩამოცილებით განვახორციელებთ. წინასწარ, დეაფიქსაციის დაწყებამდე, სიტყვის შემადგენელი **ო** და **შ** ხმოვანი ბგერები მათი შესატყვისი **შა** და **ოა** კომპლექსებით ჩავანაცვლებთ. ამ გზით მოვახდინებთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიიდან ამოღებული დაახლოებით 500 სახელის დეაფიქსაცია და შევუდგებთ დეაფიქსაციის შემდეგ დარჩენილი ბგერათკომპლექსების სისტემატიზაციას.

აფიქსების ჩამოცილების შემდეგ დარჩენილი ბგერათკომპლექსების დიდი რაოდენობა სამბგერიანი აღმოჩნდა [8, გვ.15]. უმეტეს მათგანში პირველი ბგერა თანხმოვანი იყო, მეორე – ბაგისმიერი ან **ო** ბგერა, მესამე კი – **ა** ბგერა. გრამატიკის ზოგიერთი კანონის გამოყენებით სხვა დარჩენილი ბგერათკომპლექსებიც აღნიშნულ სამბგერიან ბგერათკომპლექსის სტრუქტურით გამოისახა და გარკვეული დაშვებების შედეგად [8, გვ.14-17], ყველა განხილული ბგერათკომპლექსი ერთ **ჰშა** ფუძეში გარდაისახა. ვფიქრობთ, ამ ფუძიდანაა ისინი წარმოქმნილი. მათი წარმოქმნა **ჰ** ბგერის თანხმოვანი ბგერებით და **შ** ბგერის **ო** ბგერითა და ბაგისმიერი ბგერებით ჩანაცვლების გზით უნდა მომხდარიყო. ეს პროცესი, მათემატიკის ენით, **ჰ** და **შ** ცვლადი არგუმენტების შემცველ **ჰშა** ფუნქციის, ამ არგუმენტების მნიშვნელობათა მიხედვით გაშლას ნიშნავს, რაც ცხრილ №1.1-ში წარმოდგენილი სიტყვების ფუძეთა პერიოდული სისტემის სახით გამოისახება.

ცხრილი №1.1
სიტყვების ფუძეთა პერიოდული სისტემა

VII	ჰია	ხია	ჟია	კია	ღია	ყია	სია	ზია ...
VI	ჰაა	ხაა	ჟაა	კაა	ღაა	ყაა	საა	ზაა ...
V	ჰმა	ხმა	ჟმა	კმა	ღმა	ყმა	სმა	ზმა ...
IV	ჰშა	ხშა	ჟშა	კშა	ღშა	ყშა	სშა	ზშა ...
III	ჰბა	ხბა	ჟბა	კბა	ღბა	ყბა	სბა	ზბა ...
II	ჰვა	ხვა	ჟვა	კვა	ღვა	ყვა	სვა	ზვა ...
I	ჰშა	ხშა	ჟშა	კშა	ღშა	ყშა	სშა	ზშა ...

სიტყვების დეტალურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა აღნიშნული პერიოდული სისტემის დამახასიათებელი კანონები და მისი შემადგენელი ელემენტების სავარაუდო მნიშვნელობები. მიღე-

ბული შედეგების მიხედვით ცხრილ №1.1-ის ელემენტებიდან მარტივ სიტყვებს მისი პირველი და მეშვიდე სტრიქონების და პირველი სვეტის ელემენტები წარმოადგენენ, რომელთა მიერ წარმოქმნილი სისტემა ცხრილ №1.2-ის სახით გამოისახება.

							ცხრილი №1.2	
							ენობრივი ელემენტების სისტემა	
ჰია	ხია	ჰია	კია	ღია	ყია	სია	ზია	...
ჰპა								
ჰმა								
ჰშა								
ჰბა								
ჰვა								
ჰჰა	ხჰა	ჰჰა	კჰა	ღჰა	ყჰა	სჰა	ზჰა	...

ფიქრობთ, ამ სისტემის ელემენტები წარმოადგენენ ვილჰელმ ჰუმბოლდტის "სიტყვის ძირებს" და ნიკო მარის "თელ დიფუზიურ ხმებს".

ენობრივი ელემენტების სისტემის გამოყენებით არის ყველა სამეტყველო ენის სიტყვები შექმნილი, ამიტომ იგი მათი გასაღებია, მისი შემადგენელი ელემენტები კი მარტივ სიტყვებს წარმოადგენენ, რომელთა მიზანმიმართული შერწყმით არის რთული სიტყვები წარმოქმნილი. ყველა ენობრივი ელემენტი **ჰჰა**-ს გარდასახვით არის მიღებული ამიტომ, ისინი **ჰჰა**-ს მრავალსახეობას წარმოადგენენ. ჩვენი გამოკვლევების მიხედვით **ჰჰა** მზის უძველესი სახელი იყო [8, გვ.22-23], ნიკო მარის ზემოთ მოყვანილ ციტატასაც თუ გავითვალისწინებთ, იგი თავდაპირველად ყველას და ყველაფრის სახელი იქნებოდა, რასაც მისი მრავალსახეობა ადასტურებს. აღნიშნულის გათვალისწინებით *ენის ელემენტური თეორია* ფაქტიურად *ერთელემენტოვან ანალიზს* წარმოადგენს. ეს ელემენტია **ჰჰა**, ამიტომ ენის ამ თეორიას ჩვენ, საწყის ეტაპზე, **ჰჰა თეორიად** ვუწოდეთ.

გამოკვლევების შედეგად მოვიძიეთ ენობრივი ელემენტების სავარაუდო მნიშვნელობები და მათგან სიტყვის წარმოქმნის წესები, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მრავალი სიტყვის ეტიმოლოგია და მათი ანალიზით შეგვესწავლა ენობრივი ელემენტების სისტემის დამახასიათებელი თვისებები.

ენობრივი ელემენტების სისტემის სვეტის შემადგენელი ელემენტები მათ შემცველ სიტყვებს ასაკობრივ და სივრცობრივ კატეგორიებს ანიჭებენ, კერძოდ: ელემენტი **ჰჰა** – *ახალშობილის ასაკს, უმდაბლესს* და *შორეულ აღმოსავლეთს*; ელემენტი **ჰპა** – *ბავშვის ასაკს, პატარა სიმაღლეს* და *ახლო აღმოსავლეთს*; ელემენტი **ჰშა** – *ჭაბუკის ასაკს, საშუალო სიმაღლეს* და *ცენტრალურს*; ელემენტი **ჰმა** – *ყმის ასაკს, მაღალს* და *ახლო დასავლეთს*; ელემენტი **ჰბა** კი – *მოხუცის ასაკს, უმაღლესს* და *შორეულ დასავლეთს*.

ენობრივი ელემენტების სისტემის ქვედა სტრიქონის ელემენტები მატრიარქალური კატეგორიის სიტყვებს აწარმოებენ, ზედა სტრიქონის ელემენტები კი – პატრიარქალური კატეგორიის სიტყვებს. მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ ზოგად ძირს ორელემენტიანი **ჰუარჰა** კომპლექსი წარმოადგენს, პატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ ზოგად ძირს კი – ორელემენტიანი **ჰინაია** კომპლექსი. სრული (შეუკვეცავი) მატრიარქალური სიტყვები არ შეიცავენ ერთზე მეტი რაოდენობის **ი** ბგერას ან **ჰ** ბგერას (გამორიცხულია აგრეთვე ერთდროულად ორივე მათგანის შემცველობა), სრული პატრიარქალური სიტყვები კი – პირიქით, აუცილებლად შეიცავენ ორი და უფრო მეტი რაოდენობის **ი** ბგერას, ან **ჰ** ბგერას (აუცილებელია აგრეთვე მინიმუმ თითო **ი** და **ჰ** ბგერების ერთდროული შემცველობა მაინც).

სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა მისი მაწარმოებელი კომპლექსის მნიშვნელობით განისაზღვრება, ამიტომ სიტყვის წარმოშობის დადგენისათვის აუცილებელია მისი მაწარმოებელი კომპლექსის აღდგენა. ამ პრინციპს კარგად ეხმიანება ნიკო მარის შემდეგი გამონათქვამი: “. . . სიტყვების დაშლის გარეშე მასში წარმოდგენილ ელემენტებად, – ერთ, ორ ან სამ ელემენტად, – არ შეიძლება ვაწარმოთ შედარება, ასეთი ანალიზის გარეშე შედარებით მეთოდს ძალა არ აქვს” [3, გვ.280].

რთული სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსი ორიდან შეიდ ენობრივ ელემენტამდე შეიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი გარკვეული კომპლექსისაგან უამრავი სიტყვა მიიღება, რომლებიც, როგორც ფონეტიკურად ასევე სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ ამ განსხვავებას სიტყვის სემანტიკა განაპირობებს, რისი გათვალისწინებითაც სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსის მორფოლოგიური გარდაქმნა ხორციელდება.

§1.3 რთული სიტყვის ფორმირება

რთული სიტყვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი და უფრო მეტი რაოდენობის ენობრივი ელემენტისაგან შედგენილი კომპლექსის მორფოლოგიური გარდაქმნით მიიღება. მისი ფორმირება ეტაპობრივად ხორციელდება. პირველ ეტაპს ენობრივი ელემენტებისაგან სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსის შედგენა წარმოადგენს, მეორე ეტაპს კი – ამ კომპლექსის მორფოლოგიური გარდაქმნა.

I. ენობრივი ელემენტებისაგან სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსის შედგენა სიტყვის ფუძეელემენტის აფიქსაციით ხორციელდება [8, გვ.29-34]. ქვემოთ წარმოდგენილია მატრიარქალური და პატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელი კომპლექსების შედგენის წესები.

1. მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელი კომპლექსების ფუძეელემენტია **ჰშა**, დანარჩენი ენობრივი ელემენტები კი ცხრილ №12-ის ქვედა სტრიქონიდანაა ძირითადად აღებული. ზოგიერთ მატრიარქალურ სიტყვაში ცხრილ №12-ის სვეტის ელემენტი გამოიყენება, ზოგში – **ჰია** ენობრივი ელემენტი, ან მისი შესაბამისი სტრიქონის რომელიმე სხვა ელემენტი, ზოგში კი – ორივე ერთად, რომლებიც მას ასაკობრივ კატეგორიას და უზენაესობის ხარისხს ანიჭებენ შესაბამისად.

ჰშა ფუძეელემენტის შემცველი ისტორიული პერიოდის ერთ-აფიქსიანი კომპლექსი **ჰშარშა** არის, რომელიც მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ ზოგად ძირს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობებია [8, გვ.30] *ღვთაება მზე; ღვთაება წყარო; მზის სხეული და მზის წყარო*. ჩვენ მას *ღვთაება მზის* სახელით მოვიხსენიებთ შემდგომში. **ჰშარშა** კომპლექსისაგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **ჰარა**, **ჰორა** და **ბშრა** (ამ სახელებისა და პირველ ეტაპში მოყვანილი სხვა სახელების ფორმირების წესები მეორე ეტაპში იქნება წარმოვიდგენილი).

ჰშა ფუძეელემენტის შემცველი ერთ-ერთი ორაფიქსიანი კომპლექსი **ჰშარშაჰია** არის, რომელიც *ღვთაება მზე უზენაეს* ნიშნავს. იგი მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ მთავარ ძირს წარმოადგენს, რომლისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **ჰარი**, **ჰარალა**, **არი** და **ბშრი**.

ჰშა ფუძეელემენტის შემცველი ერთ-ერთი სამაფიქსიანი კომპლექსი **ჰშარშაჰიათშა** არის, რომელიც *ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* ნიშნავს. იგი მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ კიდევ ერთ მთავარ ძირს წარმოადგენს, რომლისგან ისეთი მნიშვნელოვანი სახელებია ნაწარმოები როგორებიცაა **ღშია**, **ღალი**, **ოღოია** და **ჰაროი-ჰაროი**

ანალოგიური გზით შეიძლება ცხრილ №12-ის ქვედა სტრიქონის ელემენტების აფიქსებად შერჩევა და მათი გამოყენებით ოთხი და უფრო მეტი აფიქსიანი კომპლექსის შედგენა.

მოყვანილი კომპლექსებისაგან წარმოქმნილი სახელები მათი შესაბამისი ობიექტების სქესობრივ კატეგორიებს არ გამოხატავენ, არადა ამის საჭიროება უსათუოდ იქნებოდა. ეს პრობლემა სახელის მაწარმოებელ კომპლექსისათვის **შშა** ან **სშა** ენობრივი ელემენტის დართვით არის გადაჭრილი [8, გვ.30]. მაგალითად, **შშაჰშარშაჰიათშა** კომპლექსი *ქალ ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* ნიშნავს, რომლისგან კომპოზიტი **შშა ღშია** (*ქალღვთაება*) და ტოპონიმი **შაჰაროიჰალი** მიიღება; **სშაჰშარშაჰიათშა** კომპლექსი კი *კაც ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* ნიშნავს, რომლისგან კომპოზიტი **სშა ღშია** (*კაცღვთაება*) და ტოპონიმი **საჰაროიჰალი** მიიღება.

მოყვანილი კომპლექსებისგან წარმოქმნილი სახელები მათი შესაბამისი სუბიექტების ან ობიექტების ასაკს და სივრცობრივ

მდებარეობას არ გამოხატავენ, არადა ამ პარამეტრების ცოდნა ყველა სულიერი და უსულო საგნის გამოსახატავად იქნებოდა საჭირო. ეს პრობლემა სახელის მაწარმოებელ კომპლექსთან ცხრილ №12-ის სვეტის ერთ-ერთი **ჰპა**, **ჰპა**, **ჰჟა**, **ჰმა** ან **ჰპა** ენობრივი ელემენტის პრეფიქსად დართვით იქნა გადაჭრილი [8, გვ.31]. ამ მოქმედების შედეგად წარმოქმნილი კომპლექსის გარდაქმნით მიღებული სახელი მისი შესაბამისი სუბიექტის ან ობიექტის როგორც ასაკობრივ, ასევე სივრცობრივ მდგომარეობას გამოხატავს. ასაკობრივი დიფერენციაციის გამომხატველ ზოგად წვერად **ჰმა** ენობრივი ელემენტის შემცველი კომპლექსი არის შერჩეული, რომელშიც, საჭიროებისდა მიხედვით, **ჰმა** ელემენტი **ჰპა**, **ჰპა**, **ჰჟა** ან **ჰპა** ენობრივი ელემენტით ჩაინაცვლება. მაგალითად, სახელი **ღმთაი**-ს ასაკობრივი დიფერენციაციის გამომხატველი ზოგადი წვერი **ჰმაჰპარუჰაჰმაიუჰა** კომპლექსი იქნება, რომელიც *მალალ (მამა) ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* ნიშნავს. ამ კომპლექსისგან სახელები **ღმართი** (*ღმერთის მნიშვნელობის ქართული მატრიარქალური სახელი იქნებოდა*) და **ღორმთი** (*ღმერთი, ზანურად*) მიიღება, ხოლო მისგან წარმოქმნილ *ღვთაება*, *უმარი* და *მათრი* ბევრათკომპლექსებისგან, სათანადო გადაბეგრებით, სახელები **ღმთაჰპა**, **უჰალი** და **ჰალი** მიიღება შესაბამისად.

ერთობლივი ასაკობრივი და სქესობრივი დიფერენციაციებით სამაფიქსიან **ჰპარუჰაჰმაიუჰა** კომპლექსისგან **უჰაჰმაჰპარუჰაჰმაიუჰა** და **სუჰაჰმაჰპარუჰაჰმაიუჰა** კომპლექსები წარმოიქმნება, რომლებიც *ქალ მალალ ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* და *კაც მალალ ღვთაება მზე უზენაეს ნათელს* ნიშნავს შესაბამისად. ამ კომპლექსებისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **ჰორჰიან** და **არჰამი** (**არჰამი**) შესაბამისად.

2. პატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელი კომპლექსების ფუძეელემენტია **ჰიპ**, დანარჩენი ელემენტები კი ცხრილ №12-ის ზედა სტრიქონიდანაა ძირითადად აღებული. ზოგიერთ პატრიარქალურ სიტყვაში ცხრილ №12-ის სვეტის ელემენტი გამოიყენება, რომელიც მას ასაკობრივ კატეგორიას ანიჭებს; ზოგში – ქვედა სტრიქონის ელემენტი; ზოგში კი – ორივე ერთად. აღნიშნული კატეგორიის სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსი მინიმუმ ორ ენობრივ ელემენტს მაინც უნდა შეიცავდეს ზედა სტრიქონიდან.

ჰიპ ფუძეელემენტის შემცველი ისტორიული პერიოდის ერთაფიქსიანი კომპლექსი **ჰიარია** არის, რომელიც პატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ ზოგად ძირს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობებია [8, გვ.33] *უზენაესი მზე*; *მზე მავალი* და *უზენაესი მავალი*. ჩვენ ამ კომპლექსს *უზენაესი მზის* სახელით მოვიხსენიებთ შემდგომში. მისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **მრი**, **ბირი** და **ბირია**.

ჰიპ ფუძეელემენტის შემცველი ერთ-ერთი ორაფიქსიანი კომპლექსი **ჰიარიათია** არის, რომელიც *უზენაეს მზე მნათობს* ნიშნავს. იგი

პატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელ მთავარ ძირს წრმოადგენს, რომლისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **პროტი, ჰერკოტი, თერატი** და **აიპტი**.

ჰია ფუძეველემენტის შემცველი სამი და უფრო მეტი აფიქსიანი კომპლექსები ანალოგიური გზით მიიღება.

მოყვანილი კომპლექსებისაგან ნაწარმოებ სახელებს სქესობრივი და ასაკობრივი მნიშვნელობები არ გააჩნიათ. მათთვის ამ მნიშვნელობების მინიჭება ზემოთ მოყვანილი შემთხვევების ანლოგიურად ხორციელდება. მაგალითად **ჰიარიათია** კომპლექსის სქესობრივი დიფერენციაციით წარმოქმნილ **უჰაჰიარიათია** და **სუჰაჰიარიათია** კომპლექსებისაგან ტოპონიმები **ჰიორიჰია** და **საჰიორიჰიო** მიიღება შესაბამისად, ასაკობრივი დიფერენციაციით წარმოქმნილ **ჰაჰია-რიათია**, **ჰაჰაჰიარიათია** და **ჰაჰაჰიარიათია** კომპლექსებისგან – ტოპონიმები **იჰარიათია**, **იჰერიათია** და **პითია** შესაბამისად, ერთობლივი ასაკობრივი და სქესობრივი დიფერენციაციებით წარმოქმნილ **უჰა-ჰაჰაჰიარიათია** და **სუჰაჰაჰიარიათია** კომპლექსებისგან კი – ეთნონიმი **ჰიორიჰიან** და ტოპონიმი **საჰაროჰიან** შესაბამისად.

ზემოთ მოყვანილი კომპლექსების შემადგენელი ენობრივი ელემენტების ადგილების მონაცვლეობით უამრავი სახელი მიიღება, რომლებიც ფონეტიკურ სტრუქტურით და სემანტიკით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

II. როული სიტყვის ფორმირების მეორე ძირითად ეტაპს მისი მაწარმოებელი კომპლექსის მორფოლოგიური გარდაქმნა (დამუშავება) წარმოადგენს, რომელიც გარკვეული წესებით ხორციელდება. ეს წესები წინარე ენის გრამატიკის ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა (ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოიყენება ზოგადენათმეცნიერებაში). აღნიშნული წესების ფუნდამენტური შესწავლა სხვადასხვა ენების სპეციალური კომპლექსური ანალიზით არის შესაძლებელი. ამ პუნქტში ჩვენს მიერ გამოვლენილ წინარე ენის გრამატიკის მორფოლოგიურ კანონებს [8, გვ.34-39] და მათი მოქმედების ამსახველ კონკრეტულ მაგალითებს წარმოვიდგინოთ.

1. მორფოლოგიური გარდაქმნების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ცხრილ №1.2-ში მოყვანილი ენობრივი ელემენტების შეუზღუდავი გარდასახვა თავთავიანთ შესაბამის კომპონენტებში [8, გვ.17-18], რომლებიც ცხრილ №1.3-ის სახით არის წარმოდგენილი.

ცხრილი №1.3

ჰუა, ჰო, ჰუ, ჰა, ჰ, უა, ო, უ, ა.

სუა, სო, სუ, სა, ს. ანალოგიურად ქვედა სტრიქონის სხვა ელემენტებისათვისაც.

ჰია, ჰე, მია, მ. ანალოგიურად სვეტის სხვა ელემენტებისათვისაც.

ჰია, ჰე, ჰო, ჰ, ია, მ, ო.

ნია, ნმ, ნი, ნ.

ანალოგიურად ზედა სტრიქონის
სხვა ელემენტებისათვისაც.

სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსის შემადგენელი ბგერების მეტათეზისი ყველა ენაში ვლინდება, რის შედეგად ძალიან იზრდება კომპლექსისგან წარმოქმნილი სიტყვების რაოდენობა.

2. ცხრილ №1.2-ის ზედა და ქვედა სტრიქონების შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირი.

ა) ზედა და ქვედა სტრიქონების შესაბამისი ენობრივი ელემენტები შემდგენიარადაა ერთმანეთთან დაკავშირებული:

ჰუაჰია=ჰია; ხუაჰია=ხია; ჰუაჰია=ჰია; . . .

ბ) ზედა და ქვედა სტრიქონების შესაბამისი ელემენტები და მათი კომპონენტები, წინა პუნქტის გათვალისწინებით, შემდგენიარადაა ერთმანეთთან დაკავშირებული:

ზია = გუაჰია→გოია (გუია, გაია); ზი = გოი (გუი, გაი)

3. სიტყვის წარმოქმნისა და წაკითხვის ძირითადი წესები.

ა) ხმოვანი ბგერებისგან შედგენილი სიტყვა **ჰ** ბგერაზეა შეკვეცილი (**ჰიაჰუა→ჰიო→იო**).

ბ) ხმოვანი ბგერით დაწყებულ სიტყვას ხშირად თავკიდურა **ჰ** ბგერა აქვს მოკვეცილი (**ჰუარუაჰია→ჰურია→ურია**), ზოგჯერ კი ხმოვანი ბგერა მეტათეზისით არის სიტყვის თავში მოქცეული (**ჰანი/ჰანე→ჰნი**. სახელები **ჰანი** და **ჰნი** წინაპარს ნიშნავენ ქართულად და გერმანულად შესაბამისად).

გ) თანხმოვანი ბგერებისაგან შედგენილი სიტყვა, რომელიც ბაგისმიერ ბგერას არ შეიცავს, მატრიარქალურ კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წაკითხვა **ა**, **უ** და **ო** ხმოვნების გამოყენებით არის შესაძლებელი (**ზრ=გაზურა; განარა; აზრა**).

დ) თანხმოვანი ბგერებისაგან შედგენილი სიტყვა, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ბაგისმიერ ბგერას შეიცავს მატრიარქალურ კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წაკითხვა **ა**, **უ** და **ო** ბგერების გამოყენებით არის შესაძლებელი (**გლ=გაბლა; კუბლა; კობლა**).

ე) თანხმოვანი ბგერებისგან შედგენილი სიტყვა, რომელიც ერთ ან რამოდენიმე **ა**, **უ** ან **ო** ბგერას შეიცავს მატრიარქალურ კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წაკითხვა **ა**, **უ** და **ო** ბგერების გამოყენებით არის შესაძლებელი (**ჰარო=ჰარია; ჰურია; ჰაროუ; ჰოროუ**).

ვ) თანხმოვანი ბგერებისგან შედგენილი სიტყვა, რომელიც **ი** ან **ჰ** ბგერას შეიცავს, პატრიარქალურ კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წაკითხვა **ი** და **ჰ** ბგერების გამოყენებით არის შესაძლებელი (**ჰრიო=ჰრიოი; ჰრიოი; ჰრიოი**).

ზ) თანხმოვანი ბგერებისგან შედგენილი კომპლექსებისა და მათი დამაკავშირებელი თითო ხმოვანი ბგერის ერთობლიობით წარმოქმნილ სიტყვაში ყოველი ხმოვნის მოქმედების არეალი მის წინამდებარე თანხმოვნიდან იწყება და შემდეგი ხმოვნის წინამდებარე

თანხმონამდევრცვლდება. გამონაკლისს პირველი კომპლექსის უკანასკნელი თანხმონის წინამდებარე ბგერები წარმოადგენს, რომლებიც პირველი ხმოვნის არეალში არიან მოქცეულნი. იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული სტრუქტურის სიტყვა ხმოვანი ბგერით იწყება, ან მისი პირველი კომპლექსი ერთ თანხმოვან ბგერას შეიცავს, ეს წესი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე სამართლიანია. ამ წესის მიხედვით სიტყვები **სრანნილის** და **ისრანა სუარუასუნიალისია** და **ჰიანდარუასუნუა** კომპლექსების სახით აღდგება შესაბამისად.

თ) ბაგისმიერი თანხმოვნები ზოგჯერ ა ბგერასთან წარმოქმნილი კომპლექსების სახით ფიგურირებენ სიტყვებში (მაგალითად: **ბაღლი**, **ტურუა**, **მაღალი**, **პარკი**), ზოგჯერ კი – ა ბგერის გარეშეც (მაგალითად: **სომლი**, **ურამი**, **ბაბრა**, **ფიქრი**, **ხაპრა**), რომელიც მათგან მოკვეცილია. ასეთი სიტყვის მაწარმოებელი კომპლექსის აღდგენისას ჯერ წინა ქვეპუნქტებით უნდა ვისარგებლოთ და მისი მოკვეცილი ხმოვნები აღვადგინოთ, შემდეგ კი – ბაგისმიერისაგან მოკვეცილი ა ბგერა (მაგალითად: **სომლი**→**სომალი**; **ურამი**→**ურამამი**→**ურამამაი**; **ბაბრა**→**ბაპრამრა**→**ბაპრამრა**; **ფიქრი**→**ფიქმირი**→**ფაქმირი**; **ხაპრა**→**ხამპრა**→**ხამპამრა**).

4. ჰ ბგერასთან დაკავშირებული გარდაქმნები.

ა) სიტყვის ჰ ბგერაზე შეკვეცა: **სუაჰურუაჰია**→**ხაჰარი**→**ჰარი**→**ნარი**. ამ შემთხვევაში სახელი **ნარი** ეტიმოლოგიით *მამრ ღვთაება მზე უზენაესს* ნიშნავს.

ბ) სიტყვის შემადგენელი ჰ ბგერის ხ (ქ, ზ, ღ, ყ, ძ) ბგერით ჩანაცვლება: **ჰურუაჰია**→**ჰარი**→**ნარი**. ამ შემთხვევაში სახელი **ნარი**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა პირველი შეხედვით *ღვთაება მზე უზენაესი* გამოდის, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. **ჰარი**→**ნარი** გადაბგერების პროცესი **ჰარი**→**ნარი** გარდაქმნის სახით უნდა იქნას წარმოდგენილი, რაც სახელი **ჰარი**-ს მაწარმოებელ ზოგად **ჰურუაჰია** კომპლექსში დამატებით **სუა** ენობრივი ელემენტის შეტანის ტოლფასი იქნება და მისი გათვალისწინებით სახელი **ნარი**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა წინა შემთხვევის შესატყვისი გახდება.

გ) სიტყვის შემადგენელი ჰ ბგერის მეზობელ ბგერაში ასიმილირება: **სიანდარია**→**ხეჰირი**→**ხეხირი**→**ხეურისი**→**ხმრსი**.

დ) სიტყვის შემადგენელ ჰ ბგერათა მეზობელ ბგერებში ასიმილირება: **სუაჰურუაჰია**→**ხაჰარაჰი**→**ხახარარი**→**ხარახარი**→**ნარნარი**.

ე) სიტყვის შემადგენელ ჰ ბგერათა ერთ-ერთ რომელიმე მეზობელ ბგერაში ასიმილირება: **ჰიაჰურუაჰია**→**მაჰარაჰია**→**მამარამია**→**მამარამია**→**მამამია**.

5. რ ბგერასთან დაკავშირებული გარდაქმნები.

ა) სიტყვის შემადგენელი რ ბგერის ლ ბგერით ჩანაცვლება: **გუაჰურუაჰია**→**გუჰურუჰი**→**გურჰი**→**გური**→**გული**.

ბ) სიტყვის ფორმირების პროცესში წარმოქმნილ რ ბგერის დისიმილაცია: **ჰურუაჰია**→**ჰარაჰი**→**ჰარარე**→**ჰარალე**.

გ) სიტყვის რ ბგერაზე შეკვეცვა: **ღუაჭუარუაჭუა**→ღაჭარამა→ღჭრ-
მა→ღრმა→**ღმა**.

6. ბაგისმიერი ბგერების კომბინაციები.

ა) სიტყვის შემადგენელი მ ბგერის ნ ბგერით ჩანაცვლება: **ჭა-
ჭიარია**→მაჭირი→მაირი→**ნაირი**. ანალოგიურად შეიძლება იქნას მ ბგე-
რა **ჭ, ზ, ზ** და **ჭ** ბგერებით ჩანაცვლებული.

ბ) სიტყვის ფორმირების პროცესში წარმოქმნილ მ ბგერის დისი-
მილაცია: **ჭაჭუარუაჭია**→მაჭარაჭი→მამარაი→მარამი→**მარანი**;

გ) სიტყვის შემადგენელი მ ბგერისა და სიტყვის ფორმირების
პროცესში წარმოქმნილი მ ბგერის დისიმილიაცია: **ჭაჭუარუაჭია**→
მაჭარაჭი→მამარაი→მამრი→მამი→**ჰანი (ბანი, ფანი, პანი)**

ჰუარუაჭიაჭა→ჰარაჭემ→მარაქემ→მარქემ→**ბარქემ; პარქემ** და სხ.

დ) სიტყვებში ბაგისმიერი ბგერების ურთიერთმონაცვლეობა:
აგაზზ→აბაზზ; აგზაზ→აბზაზ→აფზაზ და სხვა.

7. სიტყვის ნ ბგერაზე შეკვეცვა.

ა) **ნჭირა**→**ჭირა** (წოლა, მეგრულად); **ბანწყრა**→**ბაწყრა**; **აქუნს-**
→**აქუს**; **წოვნა**→**წოვა**; **ჩქინ**→**ჩქი** (ჩვენ, ლაზურად).

ბ) ქართული სიტყვების ბოლოკიდურა **ნი** მარცვალ მრავლო-
ბითობის სუფიქსად მოისაზრება, რომლის შემადგენელ **ნ** ბგერაზე
შეკვეცით მათი ძირეული სახელები მიიღება, მაგალითად: **კანნი**→
კანი; **ხალნი**→**ხალნი**; **ღეღანი**→**ღეღანი**; **მორხვეპანი**→**მორხვეპანი**.

8. სიტყვის თ (ღ,თ) ბგერაზე შეკვეცვა.

ა) **უამით**→**უამო**; **ალბანათი**→**ალბანი**; **კარბად**→**კარბა**; **მაკედ-**
→**მაკე**; **ტიკინჩხა**→**ტიკინჩხა** (სამშაბათი, ჭანურად); **ტლაკვა**→**ლაკვა**.

ბ) ქართული სიტყვების ბოლოკიდურა **თა** მარცვალ სახელების
მრავლობითი ფორმის ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელ ნიშნად
მოისაზრება (მაგალითად: **კან(თ)თა=კანტვის**; **ხალ(თ)თა=ხალხების**;
ღეღათა=ღეღების), რომლის მოკვეცით აღნიშნული სიტყვების შესა-
ბამისი სახელები მიიღება (**კანი**; **ხალნი**; **ღეღა**).

9. სიტყვის ფონოლოგიური შეკუმშვა თანხმოვანი ბგერების აფ-
რიკატიზაციით.

გრძელი სიტყვის მოკლედ გამოსახვა, თანხმოვანი ბგერების
აფრიკატიზაციის ხარჯზე, ყველა ენას ახასიათებს. ამ მოქმედებაში
ცნობილი აფრიკატები: **ჩ=თშ**, **ც=თს**, **ჯ=ღშ**, **ქ=ღწ**, **ჭ=ტშ**, **წ=ტს** არის
გამოყენებული. ჩვენი გამოკვლევებით [8, გვ.56-64], **შ** და **წ** ბგერებიც
აფრიკატებია, კერძოდ, **შ=შჭ** და **წ=წჭ**. გარდა ამისა **ჭ** და **წ**
აფრიკატები **ტშ** და **ტს** ბგერათკომპლექსებს კი არა **ჩჭ** და **ცჭ**
ბგერათკომპლექსებს შეესატყვისებთან შესაბამისად (**ჭ=ჩჭ**, **წ=ცჭ**).
აღნიშნული აფრიკატები შემდგენილად წარმოიქმნება.

ა) შ ბგერის შემცველი აფრიკატები: **უშაჭა**→**უშა**→**შა**→**უშა**;
უშაჭია→**უაჭია**→**შა**→**უა**; **თუაუა**→**თუა**→**თუა**→**უა**; **თუაუაჭა**→

თუუუჰა→თუუჰუა→თუუჰა→თუჰა→თუჰა→ჰუა; თუაუუაჰუა→ჩუაჰუა→
ჩუჰა→ჩჰუა→ჰუა; თუაჟია→თუაჟუაჰია→თაჟია→თაჟი→თჟია→ჟია;
თუაჟია→თუაჟუაჰია→ჩუაჰია→ჩაჰი→ჩჰია→ჰია.

ბ) ს ბგერის შემცველი აფრიკატები: სუაჰუა→სუჰა→სჰუა→ჰუა;
სუაჰია→საჰი→სჰია→ჰია; თუასუა→თუსა→თსუა→ტუა; თუასუაჰუა→
თუსუჰა→თუსჰუა→თუჰუა→თუჰა→თჰუა→ჰუა; თუასუაჰუა→ტუაჰუა→
ტუჰა→ტჰუა→ჰუა; თუასია→თუასუაჰია→თაჟია→თაჟი→თჟია→ჟია;
თუასია→თუასუაჰია→ტუაჰია→ტაჰი→ტჰია→ჰია.

10. დეაფრიკატიზაცია.

ა) ჩჰილი→ჰილი; ჩააჟოლა→შააჟოლა; ცოგა→სოგა; ცუნდი→
სუნდი (ცვარი, მეგრულად).

ბ) ჰინი→ჰინი; ჰორჰ→ჰორჰ; ძღარბი→ფღარბი; ძრონა→ფრონა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ტოპონიმი საქართველო, რომე-
ლიც სუაჰუარუაჰია კომპლექსისგანაა ნაწარმოები, ტოპონიმების
ბრუჰია, ვრაცია, ცარცია, ლაჰია, აჰია და სხვა სახით შეიძლება
წარმოვადგინოთ.

2. ქვეყნებისა და მათი შესაბამისი ხალხების ეთნიკური სახელების ფორმირება

უძველესი ენის ლექსიკა მცირე რაოდენობის სიტყვებს შეიცავდა, რომლებიც მრავალი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ერთ-ერთ ასეთ პირველ სიტყვად ჩვენ მატრიარქალურუი კატეგორიის სიტყვების მაწარმოებელი ზოგადი **ჰმარშა** ძირისაგან ნაწარმოები სახელი **ჰარა** (*ჩვენ*, აფხაზურად) მიგვაჩნია, რომელიც, თავდაპირველად, ქვეყნისა და მისი შესაბამისი ხალხის ეთნიკური სახელი იქნებოდა. **ჰარა**-ს საფუძველზე ბევრი ასეთი სახელი წარმოიქმნა შემდეგში, მათ შორის ქვეყნის სახელი **ჰარია** და მისი შესაბამისი ხალხის ეთნიკური სახელი **ჰარი**. ეს სახელები **ჰარა ჰია** კომპოზიტის შერწყმით წარმოქმნილ **ჰარაჰია** კომპლექსის გამარტივებით არის მიღებული. ამ კომპლექსის კიდევ უფრო გამარტივებულ სახეს კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი სახელი **აია** წარმოადგენს, რომელიც, ფაქტიურად, ტოპონიმების **ჰარია**-სა და **არია**-ს მნიშვნელობის სახელია. ანალოგიური გზით არის ქართული ტოპონიმი **გურია** და მისი შესაბამისი ეთნიკური სახელი **გური** მიღებული, რომელიც დღეისათვის ეთნიკური სახელით **გურული** არის ჩანაცვლებული. მათ ძირეულ ნაწილს სახელი **გურუ** წარმოადგენს, რომლის **ჰია** ენობრივ ელემენტთან შერწყმის შედეგად წარმოქმნილ **გურუჰია** კომპლექსის მორფოლოგიური გარდაქმნით არის სამივე მათგანი მიღებული. ამავე კომპლექსისგან სახელები **გურუა** და **გურუი** (**გურგ.** **гүры**) მიიღება. მათგან **гүры** *გურუებო*-ს ანუ *გურებო*-ს მნიშვნელობის სახელია, ამიტომ, შესაძლებელია, ძველი ქართული სახელების ბოლოკიდურა **ა** ბგერა მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი იყო ოდესრაც ქართულში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ეთნიკური სახელების მრავლობითობის ფორმის მაწარმოებელი ძველბერძნული სუფიქსები **-αι** (**Σκ-αιαι**) და **-οι** (**Κολοι**), რუსული სუფიქსი **-ы** (**КОЛЫ**) და ქართული სუფიქსი **-ნი** (**ძოლნი**). მათგან **αι**-სა და **οι**-ს შემადგენელი **ι** ბგერა და **ы** (**уи**)-ს შემადგენელი **и** ბგერა **ჰია** ენობრივი ელემენტის შეკვეცილ ფორმებს წარმოადგენენ, **ნი** კი **ნია** ენობრივი ელემენტის შეკვეცილ სახეს წარმოადგენს, რომელიც **ჰია**→**ნია** გარდაქმნით არის მიღებული, **ჰია**-საგან კი – **ა** (იჰ) ბგერა მიიღება.

ქვეყნებისა და მათი შესაბამისი ხალხების თანამედროვე ქართული სახელები განსხვავებული პრინციპით არის ფორმირებული, რომელთა მოძიება ჩვენ აღნიშნული სახელების ანალიზით განვახორციელებთ. მიღებული შედეგების მიხედვით ქვეყნების სახელები **-ია** სუფიქსის გამოყენებით არის ნაწარმოები, ეთნიკური სახელები კი – **ან** სუფიქსის გამოყენებით. მათ შორის უმეტესობა ერთ-ერთ აღნიშნულ სუფიქსთაგანს შეიცავს მაგრამ, არსებობენ ისეთი სახელებიც,

რომლებიც ერთდროულად ორივე მათგანს შეიცას. ქვემოთ მოყვანილია მათი წარმოქმნის საჩვენებელი მაგალითები.

ჰარა ხალხის შესაბამისი ქვეყნის ერთაფიქსიანი სახელი **ჰარათა** იქნებოდა, **ჰარი ხალხის** შესაბამისი ქვეყნის ერთაფიქსიანი სახელი კი – **ჰარითა**, რომლის გამარტივებულ ფორმებს **ჰარათი** და **ჰართი** წარმოადგენენ. ანალოგიურად, **ჰარა** ხალხის შესაბამისი ერთაფიქსიანი ეთნიკური სახელი **ჰარაან** იქნებოდა, **ჰარი ხალხის** შესაბამისი ერთაფიქსიანი ეთნიკური სახელი კი – **ჰარიან**, რომლის გამარტივებულ ფორმას **ჰარანო** წარმოადგენს. **-თა** და **-ან** სუფიქსების ერთდროული შემცველობის შემთხვევაში **ჰარანო ხალხის** შესაბამისი ქვეყნის სახელი **ჰარანთა** იქნებოდა, რომლის გამარტივებულ ფორმებს **ჰარანთი** და **ჰარანათი** წარმოადგენენ, **ჰარათი ქვეყნის** შესაბამისი ხალხის ეთნიკური სახელი კი **ჰარათიან** იქნებოდა, რომლის გამარტივებულ ფორმებს **ჰარათანო** და **ჰართანო** წარმოადგენენ.

თანამედროვე ქართული მატრიარქალური კატეგორიის ტოპონიმებისა და ეთნონიმების ანალიზმა დაგვარწმუნა იმაში, რომ მათ ძირეულ ნაწილს **ჰუარუაჰია** კომპლექსი წარმოადგენს, რომელიც ზოგად **ჰუარუა** ძირთან **ჰია** ენობრივი ელემენტის შერწყმით არის მიღებული. ამ დასკვნამდე მათ შემადგენლობაში **ი** ან **ჟ** ბგერის შემცველობამ მიგვიყვანა. ის სახელი, რომელიც ერთ-ერთ ამ ბგერათაგანს არ შეიცავს, ჩვენი აზრით, ან შეკვეცილია მასზე, ან ძალიან ძველი (სუფთა მატრიარქალური კატეგორიის) სახელია, კერძოდ იმ პერიოდისაა, როდესაც მის ძირეულ ნაწილს **ჰუარუა** კომპლექსი წარმოადგენდა. ამ ფაქტს ჩვენ ქვეყნისა და ეთნიკური სახელების მაწარმოებელი **-თა** და **-ან** სუფიქსების შემოღებას ვუკავშირებთ, რომლებმაც **ჰია** ენობრივი ელემენტს ჩამოართვეს ქვეყნისა და ეთნიკური სახელების მაწარმოებელი ფუნქციები (გავიხსენოთ: **ჰარაჰია**→**ჰარია**, **ჰარაა**) და ამით ხელი შეუწყვეს სიტყვის ძირეულ ნაწილში მის დაფუძნებას. აღნიშნულის მიხედვით მატრიარქალური სიტყვების მაწარმოებელი ზოგადი **ჰუარუა** ძირის ნაცვლად **ჰუარუაჰია** ძირი იქნა ქართულ სიტყვაწარმოებაში შემოღებული, რომლის მორფოლოგიური გარდაქმნით მიღებული სახელისგან, მაგალითად **ჰარი-საგან**, ტოპონიმი **ჰარითა** და ეთნიკური სახელი **ჰარიან** წარმოიქმნა. ამ სახელების გამარტივებული ფორმების **ჰარათი-სა** და **ჰარანო-სა** შემადგენელი ბოლოკიდურა **ი** ბგერა სახელობითი ბრუნვის ნიშანი კი არა, მათი ძირეული ნაწილია, რის კარგ მაგალითს ბერძნული ტოპონიმი **პოლსიდა** წარმოადგენს, რომლის შესატყვისი ქართული ტოპონიმის **პოლსათი-სა** ბოლოკიდურა ბგერა სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის ქართულ ენაში მიჩნეული.

აღნიშნულის მიხედვით **ჰარი ხალხის ქვეყნის** მნიშვნელობის ორაფიქსიანი სახელი სიტყვით **ჰარიანთა** გამოისახება, რაც **ჰარიან ხალხის კუთვნილს** ნიშნავს, **ჰარი ხალხის ქვეყნის მოსახლეობის** მნიშვნელობის ორაფიქსიანი სახელი კი – სიტყვით **ჰარითაან**→**ჰარ-**

თ60, რაც **ჰართი ქვეყნის მოსახლეობას** ნიშნავს. მათგან ტოპონიმ **ჰარიანთა**-საგან **ჰ**→**რ** გადაბგერებისა და მეტათეზისის გამოყენებით ტოპონიმები **არრანთა** და **არანთა** მიიღება, რომელთა შესაბამისი ხალხების ეთნიკური სახელები **არრან** და **არან** იქნება. **არრან** და **არან**, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში, მდინარეების **მტკვარისა** და **არაქსის** შესართავთან განთავსებული პროვინციის სახელებად მოიხსენიება, რომლებიც ქვეყნის სახელის მაწარმოებელ **-თა** სუფიქსზეა შეკვეცილი.

ბევრი ქვეყნის თანამედროვე სახელი **თ**, **ტ** ან **ჯ** ბგერას არ შეიცავს იმიტომ, რომ ისინი მასზე შეკვეცილია (შეკვეცის მიზეზს, ძირითადად, აღნიშნული ბგერების მრავლობითობის მაწარმოებელ სუფიქსად გამოყენება წარმოადგენს [4, გვ.6]). ეს პრობლემა შედარებით კარგად არის ქვეყნების ქართულ სახელებში მოგვარებული, რომელთა საწარმოებლად **თ** ბგერის შემცველი სუფიქსები **-ათი** (მატრიარქალური კატეგორიის სახელებში, მაგალითად: **პანათი**, **მანათი**, **სვანათი**, **მარათი** და სხვა) და **-მთი** (პატრიარქალურ კატეგორიის სახელებში, მაგალითად: **პანმთი**, **მანმთი**, **სვანმთი**, **მარმთი** და სხვა) გამოიყენება.

ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული სახელი მისი ისტორიული მოსახლეობის უდიდესი ღმერთის სახელთან არის დაკავშირებული და რომელია მათ შორის პირველადი სადაო საკითხია (ძნელია ახლა იმის მტკიცება ტოპონიმი **ჰართი** უფრო ადრე იქნა ჩამოყალიბებული თუ მისი შესაბამისი ღვთის სახელი **ჰშიაი**). უფრო გვიან, როდესაც სამეცყველო ენის განვითარების საკითხს რელიგიური ცენტრები წარმართავენ, ამოსავალი უდავოდ ღვთის სახელი იქნებოდა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი უზენაეს არსებას ასახავდა, არამედ იმიტომაც, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა – სახელი **ჰშიაი**-ს ასაკობრივი და სქესობრივი დიფერენციაციებით ღვთის მნიშვნელობის უამრავი სახელი იქნა მიღებული, რომლებიც ქვეყნებისა და ხალხების სახელებს დაედო საფუძვლად. ერთ-ერთ ასეთ სახელს ტოპონიმი **აბხაზეთი** წარმოადგენს, რომელიც *მამრი ბავშვი ხვთა*-ს მნიშვნელობის **სუა ჰბა ხვთა** კომპოზიციის შერწყმითა და მორფოლოგიური გარდაქმნით მიიღება. იგივე კომპოზიტი **ხვთა ჰბა სუა** სახითაც ჩაიწერება, რომლისაგან *ხვთა ბავშვის კუთვნილის* მნიშვნელობის სიტყვა **ხვთაბაბ** მიიღება.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ **ბ→ჟ** გადაბგერების საკითხს, რომელსაც ჩვენ აბხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებას ვუკავშირებთ.

სიტყვა **ხვთაბა** *ხვთა ბავშვის* (*ბიჭის*) მნიშვნელობის სახელია, რომელიც ასაკობრივად **იხლო ქრისტა**-ს არ შეესაბამება იმიტომ, რომ იგი *ბავშვი* კი არა *ჭაბუკი* იყო, რომლის დამახასიათებელ ასონიშანს **ჟ** ბგერა წარმოადგენს. ამ ფაქტს *ემაწვილო*-ს მნიშვნელობის აფხაზური არსებითი სახელი **ა^არუგ** [13, გვ. 53] და ვაჟიშვილის მნიშვნელობის მეგრული და ოსური სახელები **ფსჰი** (**fsqi** [4, გვ. 24]) და **ფყრტ** [30] შესაბამისად ადასტურებენ. **იხლო ქრისტა** სიტყვით **ხვთაბა** გამოიხატებოდა, მისი კუთვნილის მნიშვნელობის სიტყვა კი – **ხვთაბა**ს იქნებოდა, რომლის გარდაქმნით ტოპონიმი **აფხაზეთი**

მიიღება (ბ→ფ გადაბგერება, ამ შემთხვევაში, *ბიჭი ღმერთის მორწმუნე ხალხის ჭაბუკი ღმერთის მორწმუნე ხალხად მოქცევას* ნიშნავს). აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ არსებითი სახელები **ა'რფეს** და **ფსჰი სუაჟაჰიარიათია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან ტოპონიმები **აფსილითი** და **აფსაჰითი** მიიღება. ამ კონტექსტში საინტერესოა *ვაჟკაცო*-ს მნიშვნელობის აფხაზური სტყვა **ა-ჟღრნაჟა** და ქართული სიტყვა **ფიცნი**, რომელებიც ეტიმოლოგიურად ტოპონიმს **აფსაჰითი** შეესატყვისებია.

ზოგიერთი ოპონენტი შეიძლება შემოგვედაოს და გვითხრას, რომ არსებითი სახელი **აბ მამა**-ს ნიშნავს აფხაზურად, ამიტომ ტოპონიმი **აბსაჰითი** *მამა ხვთაღს კუთვნილ ქვეყნად* და *მამა გუჯრდია (საქართველო)*-დ შეიძლება იქნას გააზრებული. ამ შემოდავებას მხარ უჭერს სვანური ეთნიკური სახელი **მუშუჰან**, რომლის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამა სვანეთი უნდა იტყოს. ტოპონიმი **აფსაჰითი**, ამ შემთხვევაში, *ვაჟიშვილი ხვთაღს კუთვნილი ქვეყნის* მნიშვნელობის სახელი იქნება (ა-**ჟა**-ვაჟიშვილს ნიშნავს აფხაზურად [13]) და ბ→ფ გადაბგერება *მამა ხვთაღს მორწმუნე ხალხის ვაჟიშვილი ხვთაღს მორწმუნე ხალხად მოქცევას* ნიშნავს. ამ მოსაზრებით აფხაზური ეთნიკური სახელების **ა'-ფსჰა**-სა და **აფსაჰი**-ს შემადგენელ **ფ** ბგერაში *იესო ქრისტე* უნდა იგულისხმებოდეს, რასაც *აღდგომის* მნიშვნელობის აფხაზური სახელი **ა'-მჰაჟ** [13] ადასტურებს (ა'-**მჰ**-დღე, აფხაზურად; **აჟ** კი ა-**ჟა**-ს შეკვეცილ ფორმას წარმოადგენს). არსებითი სახელის **ა'-მჰაჟ** ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, *ვაჟიშვილის დღე* იქნება, რეალური მნიშვნელობა კი *იესო ქრისტეს ამადლების დღე* არის, ამიტომ მის შემადგენელ **ფ** ბგერაში *ძე ღმერთი* უნდა იგულისხმებოდეს. ამ მოსაზრებას კარგად ეხმიანება აღდგომის მნიშვნელობის მეგრული სახელი **თანუაჟა**, რომელიც კომპოზიტის **თანუა (თენუ-ბა) ჟა** შერწყმით არის მიღებული და რეალურად ქრისტესთვის ღამის თევას ნიშნავს. აქვე გვინდა მოვიყვანოთ ქალაქ *ბიჭვინთა*-ს ერთ-ერთი ძველი სახელი **Σωτηροπολις** [31, გვ.7], რომლის შესახებ ნათქვამია: «Очень можетъ быть, что храмъ въ Пицунде былъ посвященъ Христу Спасителю, и отъ этого городъ сталъ называться Сотирополь, въ буквальномъ перевде Спасителеградъ» [31, გვ.14].

ანალოგიური გზით უნდა იყოს ტოპონიმი **ტფილინი**-ც წარმოქმნილი, რასაც V საუკუნის ქართლის მეფეს *ვახტანგ გორგასალს* მიაწერენ. *ვახტანგ გორგასალი*, თავისი რელიგიური მრწამსითა და სახელმწიფო მოღვაწეობით, ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული მეფე იყო ისტორიული საქართველოსი, ამიტომ მის მიერ დაფუძნებული ქართლის ახალი სატახტო ქალაქის სახელი რომ *იესო ქრისტესთან* იყოს დაკავშირებული გასაკვირი არ უნდა იყოს. იმდროინდელი ქართლის სატახტო ქალაქის სახელი **მცხეთა** *მამა ხვთაღს კუთ-*

ნიღო-ს მნიშვნელობის სიტყვა არის (**სჷმთაჲმას**→**მცხჷმთა**), ტოპონიმი **ტჷშილინი** კი – *ვაჷშივილი ჰჷრთაჲს კუთჷნიღო-ს* მნიშვნელობის (**ჰჷრთაჲშასი**→**თჷშირინი**//**ტჷშილინი**. სახელ **ჰჷრთაჲ**-საგან არის სახელ-ები **ღჷრთაჲ**, **სჷრთაჲ**, **ღჷთაჲ** და **სჷმთაჲ** მიღებული). ამ კონტექსტში საინტერესოა ქართული სიტყვა **შიწი** რომელიც ეტიმოლოგიურად უფალი ღმერთის მნიშვნელობის სახელს **სჷთაჲშას** და ტოპონიმებს **აჷსნაჷმთი** და **თჷშილინი** შეესატყვისება.

§3.3 თანამედროვე აფხაზების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ

აფხაზები თავიანთ წარმომავლობას ძველი წ. ა. XII საუკუნის ასურულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ სამხრეთადმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ხალხს **აბჷშლა**-ს [32, გვ.84-85] უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ მათი ერთ-ერთი ეთნიკური სახელი **აჷსილ** (*აფშილი*) **აბჷშლა**-ს მოდიფიცირებულ ფორმას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას კარგად ეხმიანება ისტორიული **ცხჷში**-ს ჩრდილო-ადმოსავლეთით მდებარე პროვინციის ქართული სახელი **აჷშილითი**, რომელიც საქართველოში მურვან ერუს ლაშქრობის ამსახველ ქართულ მატთანშია მოხსენიებული [25, გვ.235].

აჷშილითი-ს მოსახლეობა I საუკუნის ერთ-ერთ ბერძნულ ლიტერატურულ წყაროში სახელით **Absilai** (*აბსილეები*) მოიხსენიება [16, გვ.179]. ეს სახელი სინამდვილეში, **აბჷშილი**-ს სახით უნდა იქნას წაკითხული (ბერძნულ დამწერლობას შ ბგერა არ გააჩნდა და ს ბგერას იყენებდა მის მაგივრად), რაც **Absilai**-სა და **აბჷშლა**-ს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ასეთი კავშირის არსებობაზე, როგორც ღმერთის მნიშვნელობის აფხაზური სახელი **Ашба** [33, გვ.27], ასევე მნიშვნელოვანი აფხაზური ტოპონიმები და გვარისსახელები მიგვანიშნებენ, რომლებიც, ძირითადად, შ ბგერას შეიცავენ, ზოგიერთი მათგანი ცხადად, ზოგიერთი კი – შ, ჩ, ჭ, ჯ აფრიკატების სახით.

აბჷშლა ქაშქების ქვეყნის შემადგენელი ერთ-ერთი ტომის სახელი იყო, რომლის სინონიმად **აბჷშლათა** მოიხსენიება [34]. აღნიშნული ქვეყანა მდინარე *პალისის* სათავეებში მდებარეობდა, რომელსაც ჩრდილოადმოსავლეთიდან ძველი ქართული პროვინცია **ღიან-შინი** ესაზღვრებოდა. ქაშქების ქვეყნის სახელი, ეთნონიმ **ქაშში**-დან გამომდინარე, სიტყვებით **ქაშშითა** (მატრიარქალური კატეგორიის) და **ქაშშითი** (პატრიარქალური კატეგორიის) გამოიხატება, რომლებიც **უშაჷპაჷჷარაჷთი** და **უშაჷპაჷჷარიათი** კომპლექსების სახით აღდგება შესაბამისად. პირველი მაგანისაგან ტოპონიმები **ქჷრჯჷ** (*საქართველო*, ადიღეურად [35, გვ.20]), **უაჷართიჷლო**, **Euskald** (ბასკების

ქვეყნის მატრიარქალური კატეგორიის სახელი) და **კორაქშიათა** (შესაძლებელია ბერძნული **Κοράξια** სინამდვილეში **კორაქშია** იყო) მიიღება, მეორისაგან კი – ტოპონიმები **ქურჯე** (*საქართველო*, ადიღეურად [9, გვ.320]), **ჯიქშითი**, **ქაჯიშითი**, **კლანიჯიშითი** (და არა **კლანიჯიშითი**), **Euskadi** (ბასკების ქვეყნის თანამედროვე ბასკური სახელი) და **კორაქშითი**. საკუთრივ სახელი **ქაქში უშაქუაქუარაქაქია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან ტოპონიმი **ქურშია** და ეთნონიმი **ქურში** მიიღება (ეს სახელებიც საქართველოსა და ქართველის მნიშვნელობის სიტყვებს წარმოადგენენ შესაბამისად).

ეთნიკური სახელი **აბჟულა** შესაძლებელია მატრიარქალური კატეგორიის სიტყვა არის, რომლის შესაბამისი ტოპონიმი **აბჟულათა უშაქაქუარაქაქია** კომპლექსის სახით აღდგება. ამ კომპლექსისგან ტოპონიმები **აბშარათი**, **აბუშარათი**, **ააულათი**, **შატბერდი** (სავანე, ისტორიულ კლარჯეთში), **ბერღუჯი** (მდინარე, ისტორიულ ქართლში. თანამედროვე **ღებღა** [20, გვ.40], სომხეთში); ეთნონიმები **აბუჯა**, **აბუჯა**, **აბშარ**, **აბუშა**, **აბუშა**, **აბაშ** და კომპოზიტები **აბ ჯორჯია** (*მამა ჯორჯია*) და **ბა ჯორჯია** (*მამა ჯორჯია*, *ბავშვი ჯორჯია* და *ახლოდღოსავლეთ ჯორჯია*) მიიღება. ეთნიკური სახელი **აბჟულა** შესაძლებელია მისი სინონიმის **აბჟულია**-ს შეკვეცილ სახეს წარმოადგენს. მაშინ იგი უსათუოდ პატრიარქალური კატეგორიის სიტყვა იქნება, რომლის შესაბამისი ტოპონიმი **აბჟულიათა (აბჟულიათი) უშაქაქაქიარიათია** კომპლექსის სახით აღდგება. ამ კომპლექსისგან ტოპონიმები **აბაჟიშითი**, **აბჟილითი**, **აბაჯინთა**, **ჯინებთა**; ეთნონიმი **ჯიქში** და კომპოზიტები **აბ ჯიორიჯია** (*მამა ჯიორიჯია*), **ბა ჯიორიჯია** (*მამა ჯიორიჯია*, *ბავშვი ჯიორიჯია* და *ახლოდღოსავლეთ ჯიორიჯია*) მიიღება.

ღმერთის აფხაზური სახელი, ლიტერატურულ წყაროებში, სიტყვით **ანჟა** გამოიხატება, რომელსაც, ძირითადად, **ანცვა**-დ კითხულობენ, მაგრამ არსებობს მისი განსხვავებული წაკითხვებიც, მაგალითად **ანჩვა** [33, გვ.27] და **ანჩვა** [36, გვ.156]. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელი **ანჟა**-ს წარმომავლობა დღემდე დაუდგენელია და არც მისი მნიშვნელობაა განსაზღვრული. მაგალითად, ნიკოლოზ ჯანაშია სახელს **ანჟა** *დედა ღვთაებების* მნიშვნელობის სიტყვად მოისახურებდა, სახელს **ანაჟა** კი *მამა ღვთაების* მნიშვნელობის სიტყვად [37, გვ.23].

სახელი **ანცვა**, ენის ელემენტური თეორიის მიხედვით, **სუაქაქუარაქაქია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლის მორფოლოგიური გარდაქმნით ტოპონიმები **საქართოქლნი** და **გურზიანთა**; ქართული სახელები **საღმრთე**, **მაცხოვარი**, **არამი**, **მამაპაცი** და აფხაზური კომპოზიტები **ა-მრა ანცვა** (**ა-მრა** – *მზე* [13]), **ა-მრა ა-ხაჟა** (**ა-ხაჟა** – *კაცი* [იქვე]) და **ან ა-ხაჟა** (**ან** – *დედა* [იქვე]) მიიღება.

სახელი **ანჩა** უშაჰმარუაშაჰია კომპლექსის სახით აღდგება, რომლის გარდაქმნით ეთნონიმები **შურჰე** და **ჰორჰიანე**; წარმართული ღმერთის სახელი **ოორჰანე** [25, გვ.106-107]; ქართული კომპოზიციები და სიტყვები **მამა აჭარაი**, **ნანა აჭარაი**, **ჰანე აჭარა**, **მამა რაჭაი**, **ნანა რაჭაი**, **ანჩა ხატი**, **ჰანე ჩურა**, **ანჭარაი**, **რაჭანი**, **ჭაჰე**, **ჭანე**, **ორანე** (**ორანე ზარმაცის** კი არა **დედალის** მნიშვნელობის სიტყვა არის) და აფხაზური კომპოზიციები **ა-მრა ა-ან.შა** (**а́ша – сама** [28, გვ.190]) და **ან ა-ან.შა** მიიღება.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ სახელი **ანჩა** *კაცღმერთის* მნიშვნელობის სიტყვა არის, სახელი **ანჩა** კი – *ქალღმერთის* მნიშვნელობის სიტყვა.

ზემოთ მოხსენიებული სახელი **ჰანე**, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *მამა დედათ მშობელს (ისტორიულ მშობელს, წინაპარს)* ნიშნავს, რასაც მისი სომხური მნიშვნელობაც ადასტურებს. მას ხშირად იყენებენ საუბარში *ჯაგახლები* და *ზემო აჭარლები გაკვირვებისა და ძიების* გამოსახატავად. **ჰანე**-ს შეკვეცილი სახე **ჰან ჩენი დედა**-ს ნიშნავს აფხაზურად, **ჰანე**-ს მოდიფიცირებული სახე **ныха** კი – *წმინდანისა და ხატის* მნიშვნელობის აფხაზურ სიტყვას წარმოადგენს. **ჰანე**-ს ეს მნიშვნელობები კარგად ეხმიანება ტოპონიმ **ანაოში**-ს წარმომავლობას, რომელიც კომპოზიტ **ჰანაი კოფა**-ს შერწყმით უნდა იყოს მიღებული [38] და *დედაღვთაების თავს (ხატს)* ნიშნავდეს (ისტორიული ცნობებით ღვთისმშობლის ხატი ანაკოფიაში, ივერიის მთის თხემზე არსებულ ეკლესიაში იყო განსვენებული [25, გვ.235]). თვით სახელი **ჰანე ჰმარუაშაჰია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან უამრავი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის: ეთნიკური სახელები **მარი**, **იმარ**, **რანე**; ღვთის მშობლის სახელები **მარი** და **მარიამ**; ქართული სიტყვები **მამრი**, **მამა** და დედის მნიშვნელობის სახელები: **маманя**, **мамай**, **ნანაი** და **ნანა** (აქ მოყვანილ სახელებს, ისევე როგორც სახელს **ჰანე**, სქესი არ გააჩნიათ, პირობითად აქვთ მათ *მამრისა* და *მდედრის* გამომოატკეული მნიშვნელობები მინიჭებული). აღნიშნულის მიხედვით ზემოთ მოყვანილი კომპოზიტი **ჰანე ჩურა** მითოლოგიური დედის მნიშვნელობის სახელი იქნება, რომლის შეკვეცილ ფორმებს სახელები **ანჩა** და **ანჩა** (ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ისტორიულ ჭანეთში) წარმოადგენენ.

აფხაზური ტოპონიმების აბსოლუტური უმრავლესობა უ ბგერის გამოყენებით არის წარმოქმნილი, მათ შორის მთების სახელებიც **ანჩა** და **აშიანჩა**, რომლებიც **ანჩა**-ს ბაზაზე უნდა იყოს მიღებული (მნიშვნელოვანი მთები ძველ დროში ღმერთებთან იყო გაიგივებული).

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აფხაზურ გვარის-სახელებშიც, რომელთა შორის ცნობილი სამი გვარი **ანჩაბაჰმ**, **ჭანბა** და **შმარაშიმ** გვინდა გავანალიზოთ.

ანნაბაძე გადაქართულებული აფხაზური გვარი **ანნაბა** იქნება, რომელიც *ანნას ვაჟიშვილი*-ს მნიშვნელობის სიტყვა უნდა იყოს (სუფიქსი **-ნა**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჟიშვილის მნიშვნელობის სიტყვებს აწარმოებს აფხაზურში [18, გვ.403]).

ჭანბა *ჭანის ვაჟიშვილი*-ს მნიშვნელობის სიტყვა იქნება, რომელიც **ჩაჭანბა** სახით აღდგება და მისი გამარტივებით სახელი **ანნაბა** მიიღება (შესაძლებელია სახელი **ჭანბი**-ს მოდიფიცირებით არის სახელი **ანნა** მიღებული).

შარვაშიძე ჩვენ **შარვაშიძე**-ს მოდიფიცირებულ ფორმად მიგვაჩნია, რომელიც **შუაჭიარიათია** კომპლექსის სახით აღდგება. ამ კომპლექსისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის **ჯგირაბი**, **ჯგუ** (**ბიორბი**-ს მნიშვნელობის სახელება), **ჯიორიჯია** და **ჯიქი**. მისგანვეა მეგრული გვარები **ჯიქია** და **ჯიჯილა** მიღებული.

აქ მოყვანილი მასალით ჩვენ არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, თითქოსდა **ს** ბგერის შემცველი სიტყვების რაოდენობა მცირე იყოს აფხაზურ ლექსიკაში. მეგრულიც შიშინა ენად ითვლება (**შ** ბგერის გამოყენებით არის მისი ლექსიკის დიდი ნაწილი შექმნილი), მაგრამ ბევრია მასშიც **ს** ბგერის შემცველი სიტყვები, ქართული კი პირიქით – სისინა ენად ითვლება და მასშიც ბევრია **შ** ბგერის შემცველი სიტყვები. **შ** და **ს** ბგერების შემცველი სიტყვების ურთიერთ დაპირისპირება, ფაქტიურად, სქესობრივ დაპირისპირებას წარმოადგენს, რომელიც ზოგ შემთხვევაში რელიგიურ დაპირისპირებად გვევლინება, მაგალითად: **ბირუჯან** – **არმაზი(თა)**, **შიიტ** – **სუნდი**; ზოგ შემთხვევაში კი – ეთნიკურ დაპირისპირებად, მაგალითად: **ჭანბი** – **ჯანბი** [38, გვ.19], **ჩაღმა** – **ჭომა** (თუშები). ასეთი დაპირისპირება ისტორიულ აფხაზეთშიც იყო **აბშილში**-სა და **აბაზგაში**-ს შორის, რასაც მათი შესაბამისი ღმერთების სახელების **ანნაბა**-სა და **ანცვა**-ს ერთდროული ფუნქციონირება ადასტურებს.

აფხაზური ტომების კრებითი სახელი **азера** [27, გვ.180] ტოპონიმ **აზგაბათა**-საგან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც *კაცი ქართი*-ს მნიშვნელობის **სუაჭარაბათუაჭია** კომპლექსის სახით აღდგება. ამ კომპლექსისგან ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის ტოპონიმები **საქართველი**, **გურამა**, **გურჯიათა**, **Ааца** [40, გვ.41], **ჯაზიათა**, **азыхута**, **აძგა**, **ღურაში** და **კაპაქსიათა**. მათი გათვალისწინებით **აზგა**, **ჯაზია** და **გურჯია** ერთიდაიგივე ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ეთნიკური სახელები იქნება, რომელთაგან **გურჯია**, ფონემური შემადგენლობითა და სტრუქტურული ფორმით, პირველადი სახელი უნდა იყოს, **აზგა** და **ჯაზია** კი უფრო გვიან ნაწარმოები.

აფხაზური ტომების კრებითი სახელები იყო აგრეთვე **Абадзо** და **Абаза** [41, გვ.7]. მათგან სახელი **Абадзо** კომპოზიტ **აბ აზგაბათა**-ს

შერწყმით უნდა იყოს მიღებული (**აბ ახჰჰაია**→აბათაზაგე→აბათაზაჰე→აბათაზჰე→აბათაზჰე→**აბაღჰე**), რომელიც *მამა ახეგათა*-ს (*მამა ახეგა ხალხის ქვეყანა*-ს) ნიშნავს (გარდაქმნის მეორე საფეხურისგან ტოპონიმი **აბაზჰაია** მიიღება, რომელიც *აბაზგი ხალხის ქვეყანა*-ს ნიშნავს), სახელი **Абаза** კი – კომპოზიტ **აბ ახჰჰა**-ს შერწყმით (**აბ ახჰჰა**→აბაზიაგა→აბაზაგია→აბაზაჰია→აბაზაჰე→**აბაზა**), რომელიც *მამა ახეგა*-ს ნიშნავს (გარდაქმნის მეორე საფეხურისგან სახელი **აბაზჰია** წარმოიქმნება, რომლის ეკვივალენტად ბერძნული **Αβαρυα** არის მიხნეული, გარდაქმნის მეოთხე საფეხურისგან კი – ტოპონიმი **აბაზია**: აბაზაჰია→აბაზჰია→აბაზხია→**აბსაზია**).

ჩრდილოეთკავკასიელი აფხაზების ჩერქეზული სახელი **Басхвр** (**Басхыр**) [28, გვ.72] და აფხაზების უბიხური სახელი **Басхыг** (**Басхыг**) [42, გვ.353] ტოპონიმებისაგან **ბასხაი** (მატრიარქალური კატეგორიის) ან **ბასხეი** (პატრიარქალური კატეგორიის) უნდა მომდინარეობდეს. ჩვენ ორივე მათგანს განვიხილავთ.

ტოპონიმი **ბასხაი** **ჰბასუაჰჰარუაი** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის: **ბასხაი**, **Аба-ყაიდა**, **ბაცბი**, **აბსაზაია**, **ზაბასაია**, **ხიზაბაჰრაია** და **აბაჰხე**. მისგანვე კომპოზიტები **ჰბასუა ჰჰარუაი** და **ჰბა სუაჰჰარუაი** წარმოიქმნება. პირველი მათგანის გარდაქმნით კომპოზიტი **ბასუა** (**აბსუა**) **ჰარაი** (**ჰარაი**) მიღება, რომლის მნიშვნელობა *მამა კაცი ქართი* იქნება (ამ შემთხვევაში **ბა** ბაბა-ს შეკვეცილ სახედ არის მიხნეული, რომელიც *მამა*-ს ნიშნავს ლაზურად), მეორის გარდაქმნით კი კომპოზიტი **ბა სჰჰარაჰჰელო** მიიღება, რომლის მნიშვნელობა *მამა საქართველო, ბავშვი საქართველო* და *ახლოაღმოსავლეთ საქართველო* იქნება (ბ ბგერა ასაკის შემთხვევაში *ბავშვის* მნიშვნელობას ანიჭებს მის შემცველ სიტყვას, მდებარეობის შემთხვევაში კი – *ახლოაღმოსავლეთის* მნიშვნელობას [იხ. §1, 2]).

ტოპონიმი **ბასხაი** **ჰბასუაჰარაია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ბევრი მნიშვნელოვანი სახელია ნაწარმოები, მათ შორის ტოპონიმები **ბასხაი**, **ბზიბთა**, **აბასხაი**, **აბსაჰაი** და ეთნონიმი **აბაჰხე**. მისგანვე კომპოზიტები **ჰბასუა ჰარაია** და **ჰბა სუაჰარაია** წარმოიქმნება. პირველი მათგანის გარდაქმნით კომპოზიტი **ბასუა** (**აბსუა**) **ჰარაი** (**ჰარაილი**) მიიღება, რომლის მნიშვნელობა *მამა კაცი პერეთი (ქართლი)* იქნება, მეორის გარდაქმნით კი – კომპოზიტი **ბა სჰჰარაჰჰელო**, რომლის მნიშვნელობა *მამა საქართველო, ბავშვი საქართველო* და *ახლოაღმოსავლეთ საქართველო* იქნება.

გარდა ამისა, ტოპონიმები **ბასხაი** და **ბასხეი** ტოპონიმების **მასხაი**-სა და **მასხეი** (**მასხთა**, **მჰიმაია**)-ს ანალოგია, რომლებსაც ეთნიკური სახელები **მასხე** და **მასხე** შეესაბამებათ. ამ უკანასკ-

ნელების გათვალისწინებით ტოპონიმს **ბასხაში** ეთნიკური სახელი **ბასნი** უნდა შეესაბამებოდეს, ტოპონიმს **ბასხაში** კი – **ბასნი**. მათგან **ბასნი აბასნი**-ს, **აბაზანი**-ს, **Abzoe**-სა და **oñe3**-ის (ასე მოიხსენიებოდა XII-XVI საუკუნეების რუსულ ლიტერატურულ წყაროებში ქართველი [9, გვ.286]) შესატყვისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის სახელია, **ბასნი** კი – **ანე**-სი (ასე ეძახიან ყაბარდოელები და ბალყარლები სვანებს [9, გვ.466]).

დაუბრუნდეთ ისევ ეთნიკურ სახელს **Βακxv̄r**, რომლის წარმოშობა, ისტორიულ ლიტერატურაში, თანამედროვე *ბაქსანის ხეობას* უკავშირდება [27, გვ.181]. ეს ხეობა ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში სახელით **ბასიანნი** მოიხსენიება. სიტყვა **ბასიანნი** ფონემური შემადგენლობითა და სტრუქტურული ფორმით ეთნიკური სახელია, რომელსაც ტოპონიმი **ბასიანეთი** შეესაბამება. **ბასიანეთი** პატრიარქალური კატეგორიის სიტყვა არის. იგი **ბასჰიარეთი** და **ბასჰიარნჰეთი** კომპლექსების სახით აღდგება, რომელთა გარდაქმნით მნიშვნელოვანი ტოპონიმები და ეთნონიმები მიიღება, მათ შორის: **ბასილეთიან** (**ბასილეთი**, **ბასილი**); **აბსილეთი** (**აბსილნი**, **აბსილი**); **აბსილეთიან** (**აბსილეთი**, **აბსილი**); **ბასნირლიანეთი** (**ბასნირლი**); **ბასჰეთიან** (**ბასჰეთი**, **ბასჰი**); **ბასხეთიან** (**ბასხეთი**, **ბასხი**); **აბხაჰეთიან** (**აბხაჰეთი**, **აბხაჰია**, **აბხაჰი**); **აბაზინეთი** (**აბაზინ**, **აბაზანი**) და **აბაჰინეთი** (**აბაჰინნი**, **აბაჰინი**). მათგანვე ტოპონიმი **ბაჰსინეთი** მიიღება, რომლის შესაბამისი ეთნიკური სახელი **ბაჰსინ** ბასკების ერთ-ერთ თვითდასახელებას წარმოადგენს (“ბასკები თავიანთ თავს “ბაჰსინ” უწოდებენ” [24, გვ.100]. **ს** ბგერა ბასკურში **შ** ბგერის ჟრერადობით გამოითქმის, *ბასკური ენა კი, ცნობილი ბასკოლოგის იან ბრაუნის განცხადებით, მხოლოდ ძველ ქართულ ენასთან ამჟღავნებს ახლო გენეტიკურ კავშირს*).

ეთნიკური სახელების **აჰსუა**-სა და **აჰსუაზი**-ს ურთიერთობასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტს სვანური პანთეონის გარეულ ნადირთა და ნადირობის ღმერთის ორი განსხვავებული სახელი **აჰსათ** და **აჰსუათ** [43, გვ.68] წარმოადგენს, რომლებიც ფონემური შემადგენლობითა და სტრუქტურული ფორმით ტოპონიმებს **აჰსარათი** და **აჰსუარათი** უკავშირდება. ეს სახელები არა მარტო სემანტიკურად, არამედ ეტიმოლოგიურადაც ერთიდაიგივე მნიშვნელობის სიტყვებია და თანაც **აჰსათ**-ი **აჰსუათ**-ის შეკვეცილ სახეს წარმოადგენს (სახელი **აჰსუათ** *აჰჰსჰათ* სახით აღდგება, რომლის **ჰ** ბგერაზე შეკვეცით სახელი **აჰსათ** მიიღება). აღნიშნული კაცღმერთი, ლიტერატურულ წყაროებში, სახელით **აჰსათი** მოიხსენიება, რომლის შემადგენელი **შ** ბგერა, ჩვენი მტკიცებით, **ჰ**→**შ** გადაბგერებით არის მიღებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული ღმერთების სახელები **აჰსათ** და **აჰსუათ** **აჰსათი** და **აჰსუათი** სახით აღდგება, რომლებსაც ქვეყნების სახელები **აჰსარათი** (**აჰსუარათი**) და **აჰსუარათი** (**აჰლასთა**) შეესაბამებათ. ამ ქვეყნების შესაბამისი

ხალხების ეთნიკური სახელები **აპსარი** (**აპსღუა**) და **აპსაზი** (**აპლასხ**) იქნებოდა, რომელთა შორეული წინაპრები ერთი წარმომავლობის, კერძოდ **პლპალე** ღმერთის თაყვანისმცემელი, ხალხი უნდა ყოფილიყო (**პლპალე** ღმერთს **პლრიგე** ღმერთმა სასროლეთი შავი ზღვის პირას მიუჩინა [44, გვ.167]). ეს ხალხი დროთა განმავლობაში მრავლდებოდა, ტომობრივ დიფერენციაციას განიცდიდა და მისი ჭარბი მოსახლეობა დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში სახლდებოდა, რაზეც მათი ისტორიული ეთნიკური სახელების დამახასიათებელი **პ** ასონიშანი მიუთითებს, მაგალითად შოტლანდიელების წინაპრების ეთნიკურ სახელში **Pichti**, რომელიც ეტიმოლოგიურად ტოპონიმ **პითია**-სა და ღმერთის სახელს **პლრიგე** უკავშირდება. ამ გზით წარმოქმნილი ეთნიკური სახელები **აპსარი** (შორეულდასავლეთ კავკასიონის მთის რეგიონების მოსახლის სახელი) და **აპაზი** (**აპლასხ**) (კავკასიის შავიზღვისპირა რეგიონების მოსახლის სახელი), ზემოთ აღნიშნული **პ**→**ა** გადაბგერებით, **აპსარი**-სა და **აპაზი**-ს სახელებით გამოვიდა შესაბამისად ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ისტორიულ სარბიელზე.

ყველა სამეტყველო ენა დროთა განმავლობაში მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა – მათი გრამატიკა ახალი მიმართებებით მდიდრდებოდა, ლექსიკური ფონდი კი – ახალი სიტყვებით. ენათა განვითარების პროცესს ხალხებს შორის არსებული კომუნიკაციების საშუალებები (დაქირავებული შრომა, ვაჭრობა და ომები) ხელს უწყობდა. ამ მხრივ ბარისა და მთის რეგიონები განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდა. ბარში, სადაც აღნიშნული კომუნიკაციები ადვილად ხორციელდებოდა, ენის განვითარება შედარებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, მთაში კი პირიქით – რაც უფრო მეტად იყო მთის რეგიონი გარე სამყაროსგან მოწყვეტილი, მით უფრო ნაკლებად ვითარდებოდა მისი მოსახლეობის სამეტყველო ენა. ამ ფაქტის შედეგები დღევანდელ საქართველოშიც შეინიშნება, მისი მთის რეგიონების მოსახლეობის სამეტყველო ენებს ძველი – მატრიარქალური ელფერი გადაჰკრავს, ბარის რეგიონების მოსახლეობის სამეტყველო ენებს კი შედარებით ახალი – პატრიარქალური ელფერი. ყველაზე არქაული მათ შორის *სვანური ენა* არის, რომლის შესაბამისი მოსახლეობის განსახლების ძირითადი კერა, – მდინარე *ენგურის ხეობის* მთის რეგიონი – როგორც მტრისთვის, ასევე მოყვარისათვის შეუღწევადი იყო.

ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა მდინარე *ბზივის ხეობის* მთის რეგიონის **ფსფს** ისტორიული მოსახლეობაც, რომლებსაც სტრაბონი *სვანებად* მოიხსენიებს [16, გვ.138] (*ისტორიული სვანები* მთელ კავკასიონის ქედზე იყვნენ განსახლებულნი, რაზეც მათი შესაბამისი ღმერთების სახელები: **ღურბი** – ახლოდამოსავლეთ კავკასიონის სვანების, **ღირბი** – ახლოდასავლეთ კავკასიონის სვანების და **აპსაი** – შორეულდასავლეთ კავკასიონის სვანების, მიგვა-

ნიშნებენ. მათი განსახლების არეალი კავკასიონის ქედის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ მთის რეგიონებს მოიცავდა, მათ შორის **ფსსუ**-ს მიმდებარე ჩრდილოეთკავკასიის რეგიონსაც, რომლის სახელი **ახნიფსსლი** ეტიმოლოგიურად ტოპონიმს **აფშილი** შეესატყვისება). *ბზიფისა* და *ენგურის* ხეობების სვანები *კოდორის* ხეობაში გამავალმა ისტორიულმა სავაჭრო გზამ საბოლოოდ გაათიშა ერთმანეთისაგან. ამ გზას ქალაქ *დიოსკურია*-ს მმართველი ელიტა, სავაჭრო ქარავნების დაყაჩაღებისაგან დაცვის მიზნით, აუცილებლად გააკონტროლებდა – არასანდო ადგილობრივ მოსახლეობას ხეობიდან გააძევებდა, *ენგურისა* და *ბზიფის ხეობებთან* დამაკავშირებელ უღელტეხილებს კი საუღლდაუღლოდ ჩაკეტავდა. აღნიშნულის გამო *ფსსუს* არც თუ ისე დიდი რეგიონი კიდევ უფრო მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა გარე სამყაროსგან და მისი მოსახლეობის სამეტყველო ენა ვერანაირად ვერ განვითარდებოდა.

უწინ, სამეტყველო ენის საკითხებით, ძირითადად, რელიგიური ცენტრები იყო დაკავებული. ასეთი ცენტრები, ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე, **მცხეთა**, **კუთაისი**, **არტანუჯი** და **პითუნტი** (ბიჭვინთა) იქნებოდა. თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური ფონდის დიდი ნაწილი ამ ცენტრებში იქნება ჩამოყალიბებული, რომელთა მიმდებარე რეგიონების მოსახლეობა, მათ შორის **აბაზგეთი**-საც, *ქართულენოვანი* იქნებოდა (სიტყვამ *ქართული* ზოგიერთი მკითხველი რომ არ გაადიზიანოს, გვინდა მათ შევახსენოთ, რომ ყველა ისტორიული ქვეყნის მატრიარქალური კატეგორიის სახელის მაწარმოებელ ძირს **ჰუარუათია** კომპლექსი წარმოადგენს, რომლის გარდაქმნით მიღებული სიტყვა **ჰარათი** და **ჰართი ქართი**-სა და **ქართლი**-ს ეკვივალენტია). ამ მოსაზრებას, როგორც წინა პარაგრაფში წარმოდგენილი ჩვენი გამოკვლევების შედეგები, ასევე არნოლდ ჩიქობავასა [45, გვ.166] და ქეთევან ლომთათიძის [46, გვ.137-139] ლინგვისტიკური გამოკვლევების შედეგებიც ადასტურებენ.

თანამედროვე *აფხაზური ენა*, აფხაზი მეცნიერების მტკიცებით, *აფხარების ენის* საფუძველზეა შექმნილი, რომელთა განსახლების ერთ-ერთი კომპაქტური რეგიონი **ფსსუ** იყო. **ფსსუ** თანამედროვე *გუდაუთის რაიონის* (ისტორიული *აბაზეეთის*) მიმდებარე მთის რეგიონს წარმოადგენს, რომელთანაც იგი მდინარე **აფსსთა**-ს ხეობაში გამავალი საცალფეხო გზით არის დაკავშირებული. აფხაზების ისტორიული წინაპრები, ერთერთი აფხაზური თქმულების მიხედვით [42, გვ.169], *ფსსუს* რეგიონიდან არიან *შავიზღვისპირა* რეგიონში ჩამოსახლებული. მიუხედავად იმისა, რომ *ფსსუს* რეგიონის მოსახლეობა, ბუნებრივი პირობების გამო, მოწყვეტილი იყო შავიზღვისპირა რეგიონის მოსახლეობისგან, აუცილებელი ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ისინი მაინც ახერხებდნენ მათთან ურთიერთობას, რასაც თანამედროვე აფხაზური და ქართული ენების ლექსიკური შეხვედრები ადასტურებს.

აფხაზეთის შავიზღვისპირა რეგიონების მოსახლეობა (მათ შორის **აბაზგაშობი**-საც) II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის, კლაუდიოს პტოლემეაიოსის, ცნობით [16, გვ.239], ეთნიკურად *სვანოკოლებს* წარმოადგენდა, რაშიც ძნელია მას არ დაეთანხმო იმიტომ, რომ მთის რეგიონების ჭარბი მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესი დღემდე გრძელდება, რის შედეგად *სვანურ-იმერული*, *სვანურ-ქართლური*, *აჭარულ-მესხური*, *აჭარულ-კახური* და სხვა დასახლებები წარმოიქმნება. მთიდან ბარში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით ჩამოსახლებული ხალხი, უმეტეს შემთხვევაში, ბარის მოსახლეობის შედარებით მაღალგანვითარებულ სამეცყველო ენასა და ცხოვრებისეულ წესებს ითვისებს და თუ გარეშე დესტრუქციული ძალები არ ჩაერევა მათ ურთიერთობებში, დროთა განმავლობაში დამხვედურ მოსახლეობაში ასიმილირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიული აბაზგეთის სამეცყველო ენა, სახელმწიფო დონეზე, კოლხური იქნებოდა, რომელიც იმდროინდელ საერთოქართველურ ენას წარმოადგენდა. ამას აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მატერიალური ძეგლებიც ადასტურებენ.

ზემოთ მოყვანილი მასალის უფრო სრულყოფილად აღქმის მიზნით, ენის ელემენტური თეორიიდან გამომდინარე, კავკასიის რეგიონში განვითარებული უძველესი ისტორიული პროცესების მოკლე ანალიზი გვინდა წარმოვიდგინოთ.

ისტორიულ კავკასიაში ერთიდაიგივე წარმომავლობის სამი ტომი მოსახლეობდა, რომელთა შესაბამისი ქვეყნების სახელები **ჰართი**, **კოლხაში** და **შდი** ეტიმოლოგიურად ერთ-ერთ შუემრულ ისტორიულ წყაროში მოხსენიებულ ქალაქი-სახელმწიფოს სახელს **არაშია** [47, გვ.27] უკავშირდება (ამ ქვეყნებს, უფრო ადრე, ერთნაირი ან ერთიდაიგივე ძირისაგან ნაწარმოები შედარებით მარტივი სახელები ერქმეოდათ). აღნიშნული ქვეყნების განსახლების არეალი სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებით შეუზუდავი იყო, ამ მიმართულებებით მათი ჭარბი მოსახლეობა თავისუფლად მიგრირებდა.

სამეცყველო ენას ნაზიარები ხალხების განსახლების საწყისი და ერთ-ერთი ძირითადი კერა, ჩვენს ხელთ არსებული ლინგვისტიკური, ეთნოლოგიური და მითოლოგიური მასალების ანალიზის შედეგების მიხედვით, კავკასიის რეგიონი იქნებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია კავკასიის ტერიტორიის ზონალურად დაყოფის პრინციპი (აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, მზის *ასაკის* – *ზემდელობის* – მიხედვით), რომელთა შესაბამისი რეგიონების განმასხვავებელი **ჰ**, **ბ**, **ფ**, **შ**, **ჰ** ბაგისმიერი ბგერები დროთა განმავლობაში, კავკასიის ფარგლებში ტომობრივობის მაჩვენებელ ასონიშნებად ჩამოყალიბდა, კავკასიის ფარგლებს გარეთ კი – ეთნიკურობის მაჩვენებელ ასონიშნებად (თუ ქვეყნის ან ხალხის სახელში ორი და უფრო მეტი ბაგისმიერი ბგერა არის გამოყენებული, მისი ტომობრივობის ან ეთნიკურობის მაჩვენებელი პირველი ბაგისმიერი იქნება).

ანალოგიური მოსაზრება ნიკო მარსაც აქვს ეთნიკური სახელების მრავლობითობის ფორმის მაწარმოებელი სუფიქსების შესახებ გამოთქმული, რომლებიც ერთ-ერთ ბაგისმიერ ბგერათაგანს შეიცავს. ასეთი სუფიქსებია, მაგალითად: **-მჰი**, **-ჰი**, **-ჰი**, **-ჰი** და **-ჰი**, რომელთა შემადგენელი ბაგისმიერი ბგერები, ნიკო მარის აზრით, ტომობრივ განმასხვავებელ ასონიშნებს წარმოადგენენ [4, გვ.25-29] (სუფიქსი **ჰი**-ს შემადგენელი **ნ** ბგერა **მ**→**ნ** გადაბგერებით არის წარმოქმნილი). აღნიშნული სუფიქსები კავკასიის რეგიონალური სახელების **იჰარია**, **იჰარია**, **იჰარია** (მისი ანალოგია **ფსომი**), **იჰარია** და **იჰარია** (მისი ანალოგია **ჰიშია**) ბაზაზე არის მიღებული. მათ კავკასიურ წარმომავლობას, არა მარტო საქართველოს რეგიონალური სახელები, არამედ *ამირანის თქმულებაც* ადასტურებს. ამ პრინციპით წარმოქმნილი ტოპონიმები, ეთნონიმები და სხვადასხვა კატეგორიის სახელები და სიტყვები მსოფლიოს ყველა რეგიონშია გავრცელებული, რაც მათი მომხმარებელი ხალხების კავკასიურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს. ამ კონტექსტში საინტერესოდ მიგვაჩნია კომპოზიტი **სუა ფსომი**, რომლის გარდაქმნით ტოპონიმი **აფსაჰომი** მიიღება (**სუაფსომი**→**სუაფსაჰომი**→**საფსაჰომი**→**აფსაჰომი**→**აფსაჰომი**→**აფსაჰომი**). **ფსომი**-ს მოსახლეობა – **ფსომე** VII საუკუნის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში სახელით **ფასს** მოიხსენიება [9, გვ.616], რომლის შესაბამისი ქვეყნის მატრიარქალური კატეგორიის სახელი **ფასსი** ტოპონიმ **აფსაჰომი**-ს სახით აღდგება, მატრიარქალური კატეგორიის სახელი **ფასსი** კი – **აფსაჰომი**-ს სახით (**ფასსი**→**ფასსაჰომი**→**აფსაჰომი**→**აფსაჰომი**). ეს ფაქტები ტოპონიმ **აფსაჰომი**-ს წარმომავლობას ცენტრალურ კავკასიონთან აკავშირებენ, *აფსაჰომი* ხალხის წარმომავლობას კი – *ფსომელებთან* (*ფსომელებთან*).

აფსაჰომის ეთნიკური წარმომავლობა მათი ქვეყნის უფრო ადრინდელი სახელის **აფსაჰომი**-ს წარმომავლობით უნდა იქნას დადგენილი.

ტოპონიმი **აფსაჰომი**, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, *ვაიშვილი ხუთა*-ს მნიშვნელობის სიტყვა არის, რომელსაც, ეტიმოლოგიურად, ტოპონიმები **ბარამისა**, **ბესლამა**, **ბესბა**, **ბესუმი**, **სოგლისი** (ძველი ციხე **ბესუ**→**ფსუს**-ს რეგიონში [25, გვ.235]), **ბიჭინთა** (მისი ანალოგია ტოპონიმი **ბიჭინთა**, რომელიც ფიჭვების ადგილს კი არა ბიჭების ადგილს ნიშნავს), **Басхыг** (აფსაჰომის უბიხური სახელი [42, გვ.353], რომლისგან ტოპონიმები **სოგლისი**, **ბასსი** და **აფსაჰომი** აღდგება) და ეთნიკური სახელი **იბერცი** შეესატყვისება. მათგან **ბარამისა** ბიჭის ქვეყნის *კუთვნილს* (**ბარამ** ბიჭი, ლაზურად; **ბარამი** – ბიჭის ქვეყანა; **ბარამისა** – ბიჭის ქვეყნის *კუთვნილი*) და *იბერიას კუთვნილს* (*ბერეთისა*→*იბერიასთა*→*იბერიას*) ნიშნავს, **იბერცი** კი – *იბერიელ ხალხს*. აღნიშნულის მიხედვით **აფსაჰომი** *იბერიული წარმომავლობის ხალხი უნდა იყოს, რაც საურმაგის მიერ იბერიული ტომების აღმოსავლეთ კავკასიონის სექტორიდან დასავლეთ კავკას-*

სიონის სექტორზე გადასახლების ფაქტს კარგად ეხმაინება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე აფხაზური ენის ნაცვალსახელი **hapt** (**ჰართ** – ჩვენ, აფხაზურად [27, გვ.71]), რომელიც, ეტიმოლოგიურად, ეთნიკურ სახელს **ჰართ** შეესატყვისება, **ჰართი** კი **იბერი**-ს ადრინდელი სახელი იყო.

კავკასიის ამჟამინდელი აბორიგენი მოსახლეობა, მიუხედავად მათი განსხვავებული სამეტყველო ენისა, კულტურისა და რელიგიური მრწამსისა, გენეტიკურად ერთი წარმომავლობის ხალხია, რისი შეგნება მათ თვითცნობიერებაში, დღემდე არის შემონახული. ამ მხრივ საინტერესოა *ადიღეველებისა* და *ქართველების* გენეტიკური კავშირების მოძიება იმიტომ, რომ თანამედროვე აფხაზები თავიანთ წარმომავლობას ადიღეველებს უკავშირებენ.

ტოპონიმი ადიღეი **ჰიარიათია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან ყირიმის ძველი სახელი **Таурити**, კიმერიელების ძველი სახელი **Трир** [16, გვ.98], კოლხიდას მითოლოგიური მეფის სახელი **Аур** და ტოპონიმი **ჰირათი** მიიღება. თანამედროვე ადიღეველები ისტორიული *კიმერიელები*-ს მემკვიდრეებია, რომელთა ეთნიკური სახელი **Кимერი** ეტიმოლოგიით კომპოზიტს **კუა იმერელი** (*ბიჭი იმერელი*) შეესატყვისება, ქვეყნის სახელი **Кимерия** (მისი შესატყვისი სრული სახელი **Кимерияда** იქნებოდა) კი – კომპოზიტს **კუა იმერათი** (*ბიჭი იმერეთი*). ტოპონიმი **აღიღე** გაცილებით უფრო ადრინდელი პერიოდის სახელია ვიდრე ტოპონიმი **Кимерия**. მათი შესაბამისი შუალედური ტოპონიმი **მარათი** იქნებოდა, რასაც *აზოვის ზღვის* ისტორიული სახელი **Meoti**, ადიღეიში გავრცელებული სახელების მაწარმოებელი ძირეული სიტყვა **мерет** და *აიეტის ქალიშვილის* სახელი **მეღეია** ადასტურებს. **მარათი**-ს ბაზაზე არის ტოპონიმები **ჰირიმი** და **Крым** ნაწარმოები. ადიღეიში გავრცელებულია აგრეთვე სახელების მაწარმოებელი მეორე ძირეული სიტყვა **ант** [48, გვ.21], რომლისგან ტოპონიმი **ნართი** და მისი პროტოტიპი **მარათი** აღდგება (**მარათი მარათი**-ს შესაბამისი მატრიარქალური კატეგორიის სახელია).

ტოპონიმი **მარათი** მამა ქართი-ს მნიშვნელობის **ჰაპუარუათია** კომპლექსის სახით აღდგება, რომლისგან ტოპონიმები **იპართა**, **ტაჰანი**, **ტაშტარაჰანი**, **არმაჰირთა**, **მაიკოჰათა** და **კუშანთია** მიიღება (**კუშანი** მდინარე **კუშანი**-ს ადრინდელი სახელი იყო [26, გვ.165]). ადიღეველებისა და ქართველების გენეტიკურ კავშირზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ბევრი ადიღეური სიტყვის წარმომავლობა, რომელთა ეტიმოლოგია დღემდე დაუდგენელია, ჩვენი წინასწარი გამოკვლევებით, ქართულ ენას უკავშირდება.

ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების სამხრეთკავკასიელ თანამემამულეებთან დაპირისპირებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც ყველა მათი დამპყრობელი ქვეყანა მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა. ეს დაპირისპირება ოსმალეთის იმპერიამ, ჩრდილოეთკავ-

კასიელი ქრისტიანების ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევით, განსაკუთრებულად გააღრმავა და რელიგიურად გაუცხოებული ჩრდილოეთკავკასიელები ქართველებს სამკედრო-სასიცოცხლოდ მიუსია. ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზი ხალხის სასიქადულო შვილის დიმიტრი გულიას მოსაზრება ასეთია:

«Для претворения в жизнь своих кровавых замыслов бессовестные турецкие правители в качестве опорного пункта наметили среди других Сухуми и вообще Абхазию. С этой стороны предпринимались многократные попытки довести до конца турецкие планы полного порабощения всей Грузии. Продажные сухумские паши, наряду с ахалцихскими или батумскими, были заядлыми носителями черного знамени турецкой агрессии и влияния» [49, გვ.17].

საქართველოში მფარველი მეგობრის სტატუსით შემოსულმა მეფის რუსეთის იმპერიამ, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის გაუქმებისა და ქართველი ხალხის გარუსების მიზნით, შემოსვლის პირველსავე დღიდანვე ფარული ომი გააჩაღა ქართველი ერის წინააღმდეგ. ეს ფაქტი კავკასიის რეგიონში წარმოებულმა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებმა საბოლოოდ გამოამჟღავნა (ამ ომში რუსეთის არმიის ერთ-ერთ მთავარ შემტევ ძაღას ქართველი მეომრები წარმოადგენ-და). ოსმალეთის მპყრობელობისაგან განთავისუფლებული ტერიტორიების, მაგალითად აფხაზეთის, მკვიდრი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთმა დამნაშავედ გამოაცხადა და თურ-ქეთში გადაასახლა, მათ საცხოვრისზე კი ქართველების დასახლება სასტიკად აკრძალა და რუსეთიდან სპეციალურად ჩამოყვანილი რუსები და სხვა ეროვნების ხალხები ჩაასახლა. უფრო გვიან (1907 წელს) რუსეთმა არადემორტირებული აფხაზები შემოირიგა და ქართველებს ეთნიკურად დაუპირისპირა, რასაც დღემდე წარმატებით აგრძელებს. როგორც ოსმალეთის იმპერია ებრძოდა საქართველოს, აფხაზეთის ტერიტორიიდან, აფხაზების სახელით, ასევე რუსეთის იმპერია ებრძვის საქართველოს, აფხაზეთის ტერიტორიიდან, აფხაზების სახელით. ოსმალეთის იმპერია თუ ქართველების რელიგიურ მრწამსს ებრძოდა, რუსეთის იმპერია 200 წელზე მეტია რაც ქართველების ეროვნულ თვითმყოფადობას ებრძვის, მისი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტის – *ქართული ენის* – ამოძირკვას ცდილობს. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება როგორც შორეული წარსულიდან ასევე დღევანდელი მდგომარეობიდან.

4. ოსებთან დაკავშირებული პრობლემატიკური

საკითხები

§4.1 ოსურ-ქართული ლექსიკური უხვობები

ოსები, სამეცნიერო ლიტერატურაში, ირანულენოვანი ხალხის სახელით არის დამკვიდრებული, რომელთა წინაპრებად, ძველი ბერძენი გეოგრაფის დიოდორე სიცილიელის ერთ-ერთ ცნობაზე დაყრდნობით [50, გვ.17] ისტორიული მიდიელები მოისაზრებიან. ამ ცნობის მიხედვით მიდიელები სკვითებმა მდინარე დონის რეგიონში ჩაასახლეს, რომელთაგან, მეცნიერთა აზრით, ოსების ისტორიული წინაპრები სარმატები და ალანები მომდინარეობენ.

ოსები, ანტროპოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით, კავკასიელ ხალხთა ოჯახს მიეკუთვნება, ოსეთის რეგიონის ტოპონიმიკა კავკასიური ტოპონიმიკის ანალოგიურია, ოსური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი კი კავკასიელი აბორიგენებისათვის დამახასიათებელი რთული ბგერების (აფრიკატების) გამოყენებით არის აგებული. ეს ფაქტები ოსების კავკასიურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებენ, რის შესახებ არაერთ ცნობილ მეცნიერს განუცხადებია. ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიყვანოთ ცნობილი ოსი ეთნოლოგის ვასილ აბაევის ერთ-ერთი გამონათქვამი:

"Как бы то ни было, действительный научный, историко-этнологический интерес осетинской этнической номенклатуры, в том числе и термина *ir*, в том, что она вскрывает связи *кавказского* народа осетин с их кавказскими же соседями. В таких терминах, как *ir*, *digor*, *twal* и пр., бесполезно было бы искать каких-нибудь иранских реминисценций. Они уходят корнями в кавказский этнокультурный мир и только в рамках этого мира могут найти себе истолкование" [51, გვ.247].

ოსების კავკასიურ წარმომავლობას ჩვენი გამოკვლევების შედეგებიც ადასტურებენ, რომლებიც ოსური სიტყვების ანალიზით იქნა მოძიებული. გამოკვლევები ენის ელემენტური თეორიის გამოყენებით ვაწარმოეთ, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი მასალის წარმომავლობა დაგვედგინა. საკვლევი მასალას ოსური სიტყვები წარმოადგენდა, რომლებიც ოსურ-რუსული [30] და რუსულ-ოსური [52] ლექსიკონებიდან შევარჩიეთ. მათში გამოყენებული სპეციალური ოსური ასოები შემდეგნაირად იკითხება: ჰ–[ა, მაგარი], გზ–[ღ], ძჰ–[ჯ], ძზ–[ძ], კზ–[ქ], ხზ–[ყ], ცზ–[წ], ყზ–[ჭ]. ვისარგებლეთ აგრეთვე ქართულ-ოსური ლექსიკონით [21], რომელშიც ოსური სიტყვები ქართული

ასონიშნებით (მათ შორის გ-[უი], ჯ-[ვი], დ-[იჰ]) არის შედგენილი. ამ ლექსიკონში წარმოდგენილი ოსური სიტყვების შემადგენელი ჯ ბგერა ოსურ-რუსულ და რუსულ-ოსურ ლექსიკონებში შ ბგერით არის ჩანაცვლებული (ანალოგიურადაა ძველი ქართული სიტყვების შემადგენელი ჯ ბგერაც ახალ ქართულში ჩანაცვლებული), რაც ჩვენ სერიოზულ შეცდომად მიგვაჩნია. ჯ ბგერა ში ბგერათომპლექსის ტოლფასია და იგი, ენის ელემენტური თეორიის მიხედვით, შ ბგერით კი არა ი ბგერით შეიძლება იქნას ჩანაცვლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ბგერი პატრიარქალური სიტყვა მატრიარქალურად გადაიქცევა და მათი ჭეშმარიტი წარმომავლობა დაიკარგება.

ოსური ენის ლექსიკა დიდი რაოდენობის ქართულ სიტყვებს შეიცავს. ზოგი მათგანი უცვლელად ან უმნიშვნელო სახეცვლილებით არის მასში შეტანილი, რომლებზეც ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ მიგვაჩნია, ზოგი კი – მნიშვნელოვანი სახეცვლილებით, რაც მათი ოსურ ენასთან მორგების მიზნით იქნა განხორციელებული (ქართული და ოსური სიტყვები სტრუქტურულად განსხვავდაბიან ერთმანეთისაგან. ოსურ სიტყვებს, ისევე როგორც სვანურსა და ბევრ სხვა მთის კავკასიულ ხალხთა ენების შესაბამის სიტყვებს, მატრიარქალური ფორმა აქვს შენარჩუნებული, რომელიც ძველი ქართულისთვისაც იყო დამახასიათებელი). მოდიფიცირებული (სახეშეცვლილი) ქართული სიტყვებისაგან წარმოქმნილი ოსური სიტყვები ორ კატეგორიად შეიძლება იქნას დაყოფილი.

პირველი კატეგორიის მოდიფიცირებული ოსური სიტყვების წარმომავლობის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ასეთი სიტყვები, მათი შესაბამისი ლექსიკონური მნიშვნელობები და ძირეული ქართული სიტყვები, რომლებისაგანაც ისინი არის მიღებული, მაგალითების სახით, ცხრილ №4.1-ში არის მოყვანილი.

		ცხრილი №4.1
агъуд	футляр	ჭუთი
адомын	усмирить	დაიმონა
æнгуз	грецк. орех	ნიგოზი
æхсар	мужество; геройство	ასსრა (ასრა)
боцъо	борода	ბეწვი
быдзæу	клоун	ბაძია
гагуы	зрачок	გუბა
галиу	левый	გული
гæдзрахат	измена	დაკძრახათ
гæмхæрд	истощённый	გამხდარი
гæххæтт	бумага	ქალადლი
далæ	внизу	დაბლა
дау	сомнение	დავა
джыбы	клещ (зоол.)	ჯღიბა
дзæгъыраæй	с широк. открыт. глазами	ღვიპარი

дзуг	стадо	ჯოგი
дзыпп	карман	ჯიბე
дзых	рот	ძეხი
зых	жадный	ზიდა
игәер	печень (<i>анат.</i>)	ჯიგარი
идадз	повод (<i>у лошади</i>)	ზიდა
ищи	лёгкая добыча	წილი
иргъæвд	разнятый (<i>о дереушихся</i>)	დაარღვიდა
иргъæფ	защита	გიფარა
калд	пролитый; разлитый	დაკლა
кард	нож; меч	დაკრა
карз	суровый (<i>о человеке</i>)	ყარს
кәнаә	союз разд. или; либо	განა
къæбæда	болтун	ქბელი
къæвда	дождь	გაავდარდა
къæхбæттәен	путы	კახასთან
